# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 25 იანვარი, 2013 წელი.

№15 (7142)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## საქართველო და რუსეთი: ჰუმანიტარული ვითარება კონფლიქტითა და ომით დაზარალებულ ტერიტორიებზე



ევროსაბჭოს მიერ საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუცია

3

## საპრეზიდენტო განხეთქილება



2

## და მსოფლიო ჩვენ თვალწინ იცვლებოდა

ედუარდ შევარდნაძე – 85



9

## ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოს და რუსეთის კონფლიქტის ზონაში დაშვებას მოითხოვს

8

## სააკაშვილის ტყუილი და შენობის გარეშე დარჩენილი ფოთის თეატრი



4

„ბორჯომის“ გაყიდვა დადასტურდა და დაფარული დეტალებიც გახმაურდა

## თქვენ ცა გნიშნავთ...

6

## დასაქმებულის უფლებები გაიზრდება

7

## გიხაროდენ!

მიძინებული საელჩოები ვერა და ვერ გამოაფხიზლეს პოლიტიკურმა პარტიებმა, მედიამ, არასამთავრობოებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. ისინი ერთად არასდროს შეყრილან, თუნდაც აშშ-ის საელჩოსთან – უდანაშაულო პატიმართა განთავისუფლების მოთხოვნით. დარწმუნებული ვარ, მათ (პატიმრებს) კიდევ მრავალი წელი მოუწევდათ ციხის ხეხვა, რომ არა ივანიშვილი. მისმა პოლიტიკურმა გამოჩენამ იხსნა ისინი ციხისგან, შესაძლოა, სიკვდილისგანაც.



5

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ივანიშვილმა და მედვედევმა რამდენიმე წუთი ისაუბრეს



**რუსეთის პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი დავოსში მყოფ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მიღებაზე გაესაუბრა. ამის შესახებ რუსული მედია წერს. რუსული სააგენტოები მიუთითებენ, რომ ეს არის პირველი გასაუბრება, რომელიც ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრს შორის შედგა.**

— საქართველოს პრემიერ-მინისტრი პირველი მივიდა დიმიტრი მედვედევთან და მათ რამდენიმე წუთის განმავლობაში ისაუბრეს, — წერს რუსული მედია, რომელიც დავოსში გამართული მიღების ერთ-ერთი მონაწილის ინფორმაციას ეყრდნობა.

როგორც რუსეთის მთავრობის პრესმდივანმა ნატალია ტიმაკოვამ ამ ინფორმაციის კომენტირებისას განაცხადა, ასეთი დიდი ფორუმების დროს მსგავსი კონტაქტები ტრადიციულია.

## ინფორმაცია

### „სენაკის ფაქტი" და პროკურატურაში დაბარებული მაჟორიტარები

**საპარლამენტო უმცირესობის წევრები — თერჯოლის მაჟორიტარი კახა ბუცხრიკიძე და ასპინძის მაჟორიტარი დეპუტატი ტარიელ ლონდარიძე მთავარ პროკურატურაში დაბარებას თავდაცვის სამინისტროში მათი საქმიანობის პერიოდს უკავშირებენ.**

კახა ბუცხრიკიძე და ტარიელ ლონდარიძე სადეპუტატო მანდატის აღებამდე თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები იყვნენ. ბუცხრიკიძე ბაჩო ახალაიას მინისტრობის პერიოდში გენერალურ ინსპექციას ხელმძღვანელობდა და ასევე მინისტრის მოადგილე იყო. ლონდარიძეს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის პოსტი ეკავა და მინისტრ ახალაიას მრჩეველი იყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს" ბუცხრიკიძემ აცნობა, მისი ინფორმაციით, მთავარ პროკურატურაში „სენაკის ფაქტზე იბარებენ".

„უწყება პროკურატურიდან ჩემთან ოჯახში, თერჯოლაში სამი დღის წინათ მივიდა. რაკი რაიონში არ ვიმყოფებოდი, უწყება ვერ ჩაიბარეს. ამის შემდეგ პროკურატურიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ მოწმის სტატუსით ვარ დაბარებული. მზად ვარ, გამოვცხადდე სასამართლოში და მივცე ჩვენება, მაგრამ პროკურატურაში არ მივალ, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს" ბუცხრიკიძემ, რომლის თქმით, მას „ორი სიტყვით აცნობეს, რომ სენაკის ფაქტზე იბარებენ".

სამი დღის შემდეგ მიუვიდა უწყება ტარიელ ლონდარიძესაც, რომელიც პროკურატურაში ოთხშაბათს უნდა გამოცხადებულიყო. ლონდარიძეც ეჭვობს, რომ კბილაშვილის უწყებას კითხვები სამხედრო სამსახურის პერიოდთან დაკავშირებით აქვს.

ამასთან, უმცირესობის მაჟორიტარები დარწმუნებული არიან, რომ მათი პროკურატურაში დაბარება პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებაა.

### დევნილებმა გია ბარამიას გადადგომის მოთხოვნით აქცია გამართეს

**დევნილთა ნაწილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს უნდობლობას უცხადებს. მათ გუშინ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან აქცია გამართეს. როგორც აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი აბესალომ მიქელაძე აცხადებს, აფხაზეთის ავტონომიური ლეგიტიმური მთავრობა არ გამოხატავს დევნილი მოსახლეობის ინტერესებს და წინააღმდეგობაშია საქართველოში არსებულ ახალ რეალობასთან.**

მისივე თქმით, აფხაზეთის მთავრობა ქვეყნის ყოფილი მმართველი რეჟიმის პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებელ ჯგუფს წარმოადგენს. აქციის მონაწილეების განცხადებით, ისინი მოითხოვენ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის გია ბარამიას გადადგომას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი საპროტესტო აქციებს გამართავენ.

**ინტერპრესი**

## გარკვეული გაურკვევლობა

# საპრეზიდენტო განხეთქილება

**ოთხშაბათს დილით, როდესაც ჟურნალისტებმა პირველად შენიშნეს მთავრობის საიტზე პრემიერის ბრძანებულება ირაკლი ალასანიას დაქვეითების შესახებ, ნამდვილად პროფესიული კითხვა ის უნდა ყოფილიყო, თუ როდის გაჩნდა იქ ეს ინფორმაცია: ეკა კვესიტაძის „აქცენტებში" ალასანიას განცხადების შემდეგ თუ მანამდე? არადა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ბევრ ნიუანსს მოჰფენდა ნათელს.**

**აქ ის კი არ არის საინტერესო, როდის მიიღო ივანიშვილმა თავდაცვის მინისტრის „ჩამოლაბორანტების" გადაწყვეტილება, არამედ როდის მიიჩნია საჭიროდ ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნება: მას შემდეგ ხომ არა, რაც ირაკლიმ „საზოგადოებრივის" ეთერში განაცხადა, რომ „მძიმე და უხერხული საუბარი ჰქონდა პრემიერ-მინისტრთან" საპრეზიდენტო თემატიკაზე.**

ოთხშაბათს დილიდანვე, როგორც თვით ალასანია, ასევე მისი თანაპარტიელები გვიმტკიცებდნენ, თითქოს აქ რაიმე უთანხმოებაზე კი არ არის საუბარი, არამედ თავდაცვის მინისტრის გათავისუფლებაზე ვიცე-პრემიერის მოვალეობისაგან, რათა მას „თავისი ძირითადი საქმის უკეთ შესასრულებლად მეტი დრო ჰ ქონდეს". თვით „თავისუფალ დემოკრატთა" ლიდერის თქმით კი, გადაწყვეტილება მას და პრემიერს „ერთობლივად მიუღიათ" და, საერთოდ, არანაირი პრობლემა არ არის.

სინამდვილეში, ვიცე-პრემიერის რანგი (!) ირაკლი ალასანიას რამე დამატებით ფუნქციებს კი არ აკისრებდა, არამედ იმ დარგის მნიშვნელობას უსვამდა ხაზს, რომელსაც იგი მესვეურობს მთავრობაში. ისევე, როგორც ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძის ვიცე-პრემიერობა, სულაც არ გულისხმობს, რომ იგი განათლებისა და სპორტის პრობლემატიკით უნდა დაკავდეს, არამედ მხოლოდ ენერგეტიკული დარგის პრიორიტეტულობას ადასტურებს. გარდა ამისა, გაუგებარია, რა იგულისხმება „ერთობლივ გადაწყვეტილებაში": ეს გადაწყვეტილება სწორედ იმ „მძიმე და უხერხული საუბრის" დროს იყო მიღებული, თუ მანამდე ან შემდეგ? თუ პრობლემა არ არის, მაშინ საუბარი მძიმე და უხერხული რატომღა იყო?

საბედნიეროდ, ყველა ამ გაურკვევლობას თვით ბიძინა ივანიშვილმა დაუსვა წერტილი, როდესაც დავოსის ფორუმზე ყოფნისას განაცხადა: გადაწყვეტილება ირაკლი ალასანიას ვიცე-პრემიერობიდან გათავისუფლების შესახებ იმის გამო მივიღე, რომ იგი პარტიულ წრეში საკუთარ საპრეზიდენტო გეგმებს განიხილავდაო. ანუ, ეს იყო არა უბრალოდ „ძირითადი მოვალეობის უკეთ შესრულების" უზრუნველყოფა, არამედ სასჯელი, — „მისი ადგილის მიჩენა" და პრემიერის მხრიდან ალასანიასადმი ნდობის შემცირების საჯარო დემონსტრაცია.

მეორეს მხრივ, პრემიერის ამ განცხადებამ გაურკვევლობა კი მოხსნა, მაგრამ გაუგებრობა გააჩინა: რას ნიშნავს „საპრეზიდენტო გეგმებს პარტიულ წრეში განიხილავდა?" აბა სად უნდა განეხილა და რატომ არ ჰქონდა უფლება ემსჯელა ამაზე, თუკი, მაგალითად GORBI-ის მონაცემებით, ირაკლი ალასანია რამდენჯერმე უსწრებს ორ სხვა პოტენციურად სერიოზულ კანდიდატს: ნინო ბურჯანაძეს და ვანო მერაბიშვილს?




პრობლემის არსიც სწორედ ისაა, რომ ბიძინა ივანიშვილს აშკარად არ სურს „კოჰაბიტაცია" არა მხოლოდ მიშა სააკაშვილთან, არამედ ნებისმიერ სხვა „პრეზიდენტთან"! პრემიერ-მინისტრს, როგორც ჩანს, კარგად ესმის, რომ ყველა საუბარი, თითქოს საყოველთაო სახალხო კენჭისყრით არჩეული პრეზიდენტი „გუდურა" იქნება, რაკი ვითომდაც „ახალი კონსტიტუციით არანაირი უფლებები არ გააჩნია" — სიცრუეა და სხვა არაფერი!

ჯერ ერთი, იმ ცვლილებების შესაბამისად, რაც ძალაში ოქტომბრის შემდეგ შევა, სახელმწიფოს მეთაურს არც თუ მცირე ბერკეტები რჩება. გარდა ამისა, საქართველოს პირობებში, — ჩვენი პოლიტიკური კულტურისა და ტრადიციის გათვალისწინებით, — საყოველთაო კენჭისყრით არჩეული პრეზიდენტი მაინც ძალიან ძლიერი და გავლენიანი ფიგურა იქნება. მით უმეტეს, თუ ამ პოსტს არა მეცნიერი-კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე, არამედ რომელიმე სერიოზული და თვითკმარი პოლიტიკოსი დაეუფლება.

აქედან მომდინარეობს სწორედ პრემიერის აშკარა სურვილი (რასაც „რესპუბლიკელები" აჟღერებენ), რომ პრეზიდენტი არა ხალხმა, არამედ პარლამენტმა აირჩიოს, ხოლო ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები, მისივე ფრაზეოლოგიით, აღარ იყოს „ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც გასული ოქტომბრის საპარლამენტო".

აქ ბიძინა ივანიშვილის ფსიქოლოგიური პორტრეტიც იხსნება, როგორც იქნა: მისთვის ოქტომბრის გამარჯვება ემოციურად იმდენად ძვირფასია, რომ ღირებულებით ხასიათს იძენს და ნამდვილად არ სურს ეს ღირებულება „გადაფაროს" რომელიმე სხვა მოვლენამ. არადა, საყოველთაო-სახალხო არჩევნები „მოსაწყენი" საქართველოში ვერაფრით იქნება. ისევე, როგორც ამ წესით არჩეული პრეზიდენტი არ გამოდგება „გუდურად".

გარდა ამისა, მწარედ ცდება ის (მათ შორის თვით ალასანიაც), ვისაც ჰგონია, რომ ბესო სურმავას მიერ ნაკისრი ცნობილი ჩანაწერი „აუუუუუ.....მე რა ვქნა, მე..." ბიძინა ივანიშვილისთვის არაფერს ნიშნავს. როგორ გეკადრებათ! თავდაცვის მინისტრად, ანუ ხელქვეითად კიდევ მოითმენდა ამის მთქმელს, მაგრამ პრეზიდენტად? გამორიცხულია!

ეს დაპირისპირება რომ კარგა ხნის განმავლობაში მწიფდებოდა, ბიძინა ივანიშვილის წინა განცხადება ადასტურებს, რომელიც მან ირმა ინაშვილთან ინტერვიუში გააჟღერა: **„მე მათ გარეშეც წარმატებული ვიყავი და იმათ კი ჩემს გარეშე რას მიაღწიესო?"**

სავსებით ლოგიკური კითხვაა, მაგრამ პასუხი და პასუხიდან გამომდინარე დასკვნა, სრულიად სამართლიანი და კორექტულიც რომ იყოს, პოლიტიკურ რეალიებს არ შეესაბამება: სინამდვილეში, ემოციებს აყოლილი ბიძინა ივანიშვილი ძალიან სახიფათო თამაშს იწყებს იმ პირობებში, როდესაც აპარატულ ინტრიგებში არც ისე დახელოვნებულია, როგორც ოდესღაც ედუარდ შევარდნაძე, და არც ისეთი უპირობო გავლენა აქვს კოალიციაში, როგორც მიშას ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობაში" 2004 წელს, როდესაც „ბურჯანაძე-დემოკრატები" „გადაყლაპა".

უკვე სავსებით შესაძლებელია, ამ დაპირისპირებით (რასაც ხალხი „ერთმანეთის ჭამად" აღიქვამს) საბოლოოდ სწორედ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ისარგებლოს, ანუ ხელსაყრელ მომენტში მთავრობაც გარეკოს და პარლამენტიც. ამჟამად მიშა ჩასაფრებულია და მხოლოდ იმას ფიქრობს, როდის გამოვიდეს საფარიდან: დღესვე რომ მოხსნას ირაკლი ალასანია თავდაცვის მინისტრობიდან (დავაკვირდეთ: პრემიერისგან განსხვავებით, მას ჯერ კიდევ აქვს ამის უფლება), ეს უფრო ხელსაყრელი იქნება „ნაციონალებისთვის" თუ დაელოდოს, სანამ „ესენი საბოლოოდ დაჭამენ ერთმანეთს?"

საინტერესოა, როგორ აპირებს ივანიშვილი არათუ საკონსტიტუციო, არამედ აბსოლუტური უმრავლესობის შენარჩუნებას პარლამენტში — „თავისუფალი დემოკრატების" მხარდაჭერის გარეშე? ან როგორ შეძლებს სიტუაციის მართვას მთავრობაში, სადაც იუსტიციის, საგარეო საქმეთა და ევროინტეგრაციის მინისტრები ალასანიას კადრები არიან?

როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილს გულწრფელად ეგონა, რომ ბრწყინვალე წარმატებები ბიზნესში პოლიტიკური ტექნოლოგიის იოლად ათვისებასაც გულისხმობს. სინამდვილეში, სირთულით პოლიტიკა ბიზნესისგან ისევე განსხვავდება, როგორც ჭადრაკი — ჯოკერისგან.

**ნიკა იმნაიშვილი,**
**„ХО-ЭОВ-ЭНО"**

## წკეპლიკა

# უგულავა რაც მერია, რეკლამაშიც გაერია?..

**თქვენც შენიშნავდით, „პოსტნაცუმ" როგორ გააქტიურდა თბილისის მერი. მაგისთვის „გუუსვრიია" პირველ ოქტომბერს (2012 წლისა!) „ავრორას"! სულ არ ეპუება არც პარლამენტის საოცნებო უმრავლესობას (დედაქალაქის საკრებულო ისედაც ჯიბეში ჰყავს, როგორც ექსპრეზიდენტს ჰყავდა წინა პარლამენტი), არც ცენტრალურ ხელისუფლებას და არც პრემიერ-მინისტრს. აქაო და ხალხის არჩეული მერი ვარო, აქაო და თვითმმართველობა ვარო (ასე იწერება, თორემ იგულისხმება „გიგმმართველობა"), არაფერი შეეშალოს არავისო...**

**ხანდახან თავისი გულაობით, მადითა და ფულადობით, მოსკოვის ერთდროს მერს იური ლუჟკოვს მაგონებს ხოლმე... სხვათა კრიტიკა, იცოცხლეთ ეხერხება, აი, თვითკრიტიკისა კი რა მოგახსენოთ. თითქოს იმ თბილისის ქალაქისთავი არ იყოს, სადაც მოხდა ამა და ამ წლის 7 ნოემბერი, ამა და ამ წლის 26 მაისი, ჟურნალისტებისა და რედაქციების უცერემონიო გამოყრა ამა და ამ შენობიდან, მეცნიერთა გამოყრა იმათი შენობებიდან, ხეების გაჩეხვა, პარკების შევიწროება, კომუნისტების აშენებული სახლების „იატაკქვეშა" გაყიდვა, მედიის უმოწყალო „განფინანსება"... და სადაც ბევრი უმსგავსობა ამჟამადაც ხდება...**

**ახლა კი აგერ, რეკლამიოროობა დაუწყია: ასლარიან ვაუჩერზე კლიპი რომ ჰქვია ის, გადააღებინა და ატრიალებინებს და ატრიალებინებს ტელეეკრანზე... როგორ მივიდა იმა და იმ ოჯახში, როგორ გაუკეთა ას ლარს „რასკლადკა" 5 თვეზე ოც-ოც ლარად, როგორ უქნია თავი კალთაში ბავშვჩასმულმა დიასახლისმა, როგორ უხმოდ შესცქეროდა პატარა ბიჭი დიდ ძია მერს... მაშ როგორ — როცა საქმეში გადის ვაუჩერი, კეთილ ინებე და მერს გაუჩერდი, თან რასაც ამბობს, კიდევ დაუჯერე... კანონმდებლობაში მთლად გარკვეული არა ვარ, მაგრამ ხელისუფალთ რეკლამაში „დაკავება" არ ეკრძალებათ? ამას წინათ ექსპრეზიდენტსაც ხომ ატრიალებდნენ, რეკლამადქცეულს, წაღმა-უკუღმა....**

**ბერდია ბედოიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# საქართველო და რუსეთი: ჰუმანიტარული ვითარება კონფლიქტითა და ომით დაზარალებულ ტერიტორიებზე

**საპარლამენტო ასამბლეა**

## ევროსაბჭოს მიერ საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუცია №1916 (2013)



1. საქართველო-რუსეთს შორის 2008 წლის ომიდან 4 წლის შემდეგ კონფლიქტის ჰუმანიტარული შედეგები მთავარ პრობლემად რჩება.

2. მაშინ, როცა შიდა ტერიტორიაზე გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა გადაუდებელი დახმარების საჭიროებები ძირითადად განხორციელდა, არსებობს ნელი, თუმცა აშკარა გაყინვა კონფლიქტისა, რომელშიც ხალხის ცხოვრება პოლიტიკური თამაშის კოზირი ხდება, რაც ართულებს პროგრესის მიღწევას ჰუმანიტარულ ფრონტზე.

3. სტატუსის შესახებ ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხრიდან განსხვავებული პოზიციის არსებობა, ხელს უშლის ჰუმანიტარულ საკითხებში რაიმე პროგრესის მიღწევას. ეს საკითხები პოლიტიკური ხასიათისაა და მეორეხარისხოვანი უნდა იყოს და არა პირველადი, ჰუმანიტარული განხილვისას. საქართველოში უკანასკნელ პერიოდში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებით გამოწვეული, იძლევა დიალოგის მზაობის გაგრძელების შესაძლებლობას საპარლამენტო ასამბლეის შესაბამისი რეზოლუციების შესრულებისთვის.

4. საქართველოში უკანასკნელ პერიოდში, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებით გამოწვეული პოლიტიკური ცვლილებები იძლევა დიალოგის გაგრძელების მზაობის შესაძლებლობას საპარლამენტო ასამბლეის შესაბამისი რეზოლუციების შესრულებისთვის. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული საკითხია იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა ნებაყოფლობით, უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნება. რეალურად კი, ეს უფლება მეტწილად იგნორირებულია ასეთ პირთა უმრავლესობისთვის, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, გარკვეულწილად, შიდა ტერიტორიებზე გადაადგილებულ პირთათვის გალისა და ახალგორის რაიონებში. მნიშვნელოვანია, რომ დაბრუნების შესაძლებლობები ყველა გადაადგილებული პირისთვის ღია რჩება, მაშინაც კი, თუ ეს ეტაპობრივ საფუძველზე ხდება და ყველა გადაადგილებულ პირთა უფლება უსაფრთხოდ და ღირსეულად, ნებაყოფლობითი დაბრუნებისა, პატივცემულ უნდა იქნეს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.

5. უსაფრთხოების თვალსაზრისით, სიტუაცია კვლავ დაძაბული რჩება, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ახლოს ცხოვრობს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან, თუმცა, არა 2008 წლის ომის დონეზე. რუსეთის მრავალრიცხოვანი ჯარების ყოფნა როგორც აფხაზეთში (საქართველო), ასევე სამხრეთ ოსეთში (საქართველო) ურთიერთგამომრიცხავად არის შეფასებული. ერთი მხრივ, საქართველოსთვის და საერთაშორისო საზოგადოების უმრავლესობისთვის ეს ჩანს როგორც ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია მეზობლის ჯარების მიერ, მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაციისთვის და დე ფაქტო ხელისუფლებისთვის ეს ჩანს, როგორც კონფლიქტის არგანახლების გარანტია. უსაფრთხოებისა და გრძელვადიანი ნდობის აღსადგენად ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლზე ერთმანეთის პირისპირ მდგარი ჯარისკაცების დაყენება კი არ არის საჭირო, არამედ **ძლიერი ნეიტრალური საერთაშორისო სამშვიდობო და მონიტორინგის ჯგუფის არსებობა საზღვრის ორივე მხარეს**.

6. უდიდესი ჰუმანიტარული პრობლემა, რომელსაც საქართველოს მთავრობა აწყდება, არის ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე გადაადგილებულ პირთა ხანგრძლივი დასახლებისა და საარსებო პირობების უზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრა. მანამ, სანამ მთავრობა იღებს მილოცვებს ამ რაიონებში გაწეული ძალისხმევისთვის, კვლავ რჩება ბევრი პრობლემა, განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებულ პირთა კოლექტიური განსახლების ცენტრებში, კერძო საცხოვრებლებსა და იმ გადაადგილებულთა შორისაც, ვინც 2008 წლის შემდეგ დროებით დაასახლეს ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიაზე.

7. ასამბლეა შეშფოთებულია ეთნიკური ქართველების სიტუაციით გალისა და ახალგორის რაიონებში. მაშინ, როცა თითოეული ეს რაიონი სხვადასხვაა, ადგილობრივი მოსახლეობის საკითხი ერთმანეთის მსგავსია. ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლზე გადასვლა ოჯახისთვის, ეკონომიკის, ჯანმრთელობის, განათლებისა და სხვა მიზნებისთვის კვლავ პრობლემატური და გაურკვეველი რჩება. არსებობს პოზიტიური მინიშნებები, რომ ადმინისტრაციულ სასაზღვო ზოლზე გადასვლა შესაძლოა გაუმჯობესდეს მოქნილი მექანიზმებისა და გადაკვეთის დამატებითი პუნქტების გახსნის ხარჯზე, თუმცა ამ მომენტისთვის არ არსებობს გარანტიები, რომ ეს მოხდება. ასამბლეა ასევე შეშფოთებულია პრობლემებით, რომელიც ეხება პიროვნების იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის დოკუმენტებს, რომელიც საჭიროა არა მხოლოდ მოგზაურობისას, არამედ სხვა სამართლებრივი საკითხებისას, მათ შორის საკუთრების უფლებისათვის. გარდა ამისა, ის შეშფოთებულია იმ მიდგომებით, რომელიც ხელს უშლის და არა - უწყობს, მშობლიურ ენაზე განათლების მიღებას. ასამბლეა, ფოკუსირდება რა ჰუმანიტარული საკითხების რეზოლუციაზე, არ ივიწყებს ასევე პოლიტიკურ პოზიციებს, რომელიც დაფიქსირებულია 2008 წლის საქართველო-რუსეთს შორის ომის შემდეგ მიღებულ №1633 რეზოლუციაში და 2009 წლის №1683 რეზოლუციაში.

**რუსეთის მრავალრიცხოვანი ჯარების ყოფნა როგორც აფხაზეთში (საქართველო), ასევე სამხრეთ ოსეთში (საქართველო) ურთიერთგამომრიცხავად არის შეფასებული. ერთი მხრივ, საქართველოსთვის და საერთაშორისო საზოგადოების უმრავლესობისთვის ეს ჩანს როგორც ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია მეზობლის ჯარების მიერ, მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაციისთვის და დე ფაქტო ხელისუფლებისთვის ეს ჩანს, როგორც კონფლიქტის არგანახლების გარანტია. უსაფრთხოებისა და გრძელვადიანი ნდობის აღსადგენად ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლზე ერთმანეთის პირისპირ მდგარი ჯარისკაცების დაყენება კი არ არის საჭირო, არამედ ძლიერი ნეიტრალური საერთაშორისო სამშვიდობო და მონიტორინგის ჯგუფის არსებობა საზღვრის ორივე მხარეს.**

8. ჰუმანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ასამბლეა მოუწოდებს საქართველოს, რუსეთსა და სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებას:

8.1. მხედველობაში მიიღოს, სრულად შეასრულოს რეკომენდაციები, რომელსაც შეიცავს ასამბლეის 2009 წლის რეზოლუციები 1648 და 1664 საქართველო-რუსეთს შორის ომის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ.

8.2. ინტენსიურად იმუშაოს უსაფრთხოების საკითხების გადაჭრაზე ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების პირველი ჯგუფის ფარგლებში, ასევე, ნება დართოს ევროპის მონიტორინგის მისიის სრულ და შეუზღუდავ წვდომას კონფლიქტის ყოფილ ზონებში, რომლებიც ახლა ოკუპირებულია და გარდა ამისა, კეთილსინდისიერად იმუშოს საერთაშორისო სამშვიდობო მექანიზმებზე, რათა თავიდან აიცილოს არასტაბილური სიტუაცია კონფლიქტის ზონაში ერთმანეთის პირისპირ მდგომ არმიაში.

8.3. სრულად დაუჭიროს მხარი ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატში შეთანხმებული ინციდენტების აღკვეთასა და საპასუხო მექანიზმებს და უზრუნველყოს მექანიზმები, რომელიც მოიცავს აფხაზეთის რეგიონს, განაახლებს მანამდე ფორმატთან შეთანხმებულ თავის სამუშაო პროცესს, როგორც გადაუდებელ საკითხს.

8.4. უზრუნველყოს ყველა გადაადგილებული პირის უსაფრთხოდ და ღირსეულად, ნაბაყოფლობითი დაბრუნება, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

8.5. უზრუნველყოს დაცულობა და უსაფრთხოება რეგიონში მცხოვრები ყველა ადამიანისა, კერძოდ, შიდა ტერიტორიებზე გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისა, გაატაროს გადამწყვეტი ზომები კრიმინალის, მათ შორის გამოძალველობის, ქრთამის აღებისა და იძულებითი შრომითი საქმიანობის წინააღმდეგ.

8.6. გადაჭრას ქალების წინააღმდეგ ძალადობის პრობლემა, რომელიც გამოწვეულია ომის შედეგებით და მოახდინოს პრობლემაზე ცნობადობის ამაღლება, ევროპის საბჭოს გამოცდილებასა და დახმარებაზე დაყრდნობით.

8.7. უზრუნველყოს გადაადგილების თავისუფლება ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლზე ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენისა და ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესებისთვის, მათ შორის, დამატებითი გამტარი პუნქტების გახსნითა და ადმინისტრაციული შეზღუდვების გაუქმებით.

8.8. უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნები, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში.

8.9. დაიცვას მშობლიურ ენაზე სწავლების უფლება, მაგრამ არ შემოიფარგლოს ქართულ ენაზე მოსაუბრეებით გალისა და ახალგორის რაიონში, უზრუნველყოს საგანმანთლებლო მიზნით ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლზე თავისუფალი გადაადგილება.

8.10. სრულად ითანამშრომლოს დაკარგულ პირთა ძიების სამუშაოებში, მათ შორის, ამ ადამიანების სიკვდილამდე მონაცემების და დაკარგულ პირთა შესაძლო ადგილსამყოფელის ინფორმაციის შეგროვებაში, ასევე, ექსჰუმაციასა და ცხედრების დაბრუნებაში და მათი ოჯახებისთვის ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენაში.

8.11. დაიწყოს საერთაშორისო გამოძიება კონფლიქტის ზონებში კულტურული მემკვიდრეობისთვის ზიანის მიყენების ბრალდების განსახილველად.

8.12. გააადვილოს ასამბლეის მომხსენებლის ვიზიტი ცხინვალისა და ახალგორის რაიონებში.

9. ასამბლეა მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გააგრძელოს ძალისხმევა ქვეყნის შიდა ტერიტორიებზე გადაადგილებულთა ჰუმანიტარული საჭიროებების დაკმაყოფილების მხრივ, კერძოდ:

9.1. უზრუნველყოს მუდმივი საცხოვრებლის პრობლემის გადაჭრა, მათ შორის, კერძო საკუთრებაში მქონე საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საკითხში, კომპაქტურად ჩასახლებული ცენტრების დახურვით ან რეაბილიტაციით, ახალი დასახლების პრივატიზებით, როგორც კი მშენებლობის დეფექტები აღმოიფხვრება და უზრუნველყოს ფულადი კომპენსაცია საცხოვრებლის მაგივრად, სადაც ეს მისაღებია.

9.2. რამდენადაც შემდგომში საჭიროა იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოსახლებები, უზრუნველყოს, რომ ეს განხორციელდეს შესაფერისი პროცედურების შესაბამისად, ეს პირები სრულყოფილად იყვნენ ინფორმირებული, წინასწარ აცნობონ მათ და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ შესაფერისი ალტერნატიული საცხოვრებლით.

9.3. მეტად ფოკუსირდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა ადეკვატური საარსებო პირობების უზრუნველყოფაზე, განსაკუთრებით ახალ დასახლებებში ჩასახლებულთათვის, იმისათვის, რომ გაარღვიოს დამოკიდებულების ჯაჭვი, დაიცვას და დასახლებები გახდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა გეტოები.

9.4. განიხილოს „სამოქმედო გეგმა" „ოკუპირებული ტერიტორიების სახელმწიფო სტრატეგიის" შესაბამისად, რათა რეინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობით მიაღწიოს მიზანს.

10. ასამბლეა რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდებს:

10.1. სრულად შეასრულოს ევროკავშირის შუამდგომლობით მიღებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება.

10.2. გამოიყენოს ყოველგვარი ძალისხმევა უამრავი ეთნიკური ოსი დევნილის მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მოსაგვარებლად, პირველ რიგში, 1990-იანი წლების კონფლიქტის შედეგად დევნილთა, ასევე 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ დაზარალებულთათვის. სრულად გამოიყენოს სახელმწიფო, რეგიონული და საერთაშორისო სახსრები, როგორც ეს 2012 წლის რეზოლუციაში (1879) იყო გათვალისწინებული, რომელიც ეხებოდა ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის იძულებით გადაადგილებულ პირებსა და რეპატრიანტებს.

10.3. დაარეგულიროს საქართველოში ადრეული კონფლიქტების შემდეგ რუსეთში გახიზნულთა და არარეგულარულ სიტუაციაში მცხოვრებთა მდგომარეობა, ასევე მათი, ვისაც არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა არ გააჩნია.

11. ასამბლეა მოუწოდებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, დააჩქაროს საერთაშორისო საქმის მოსმენა საქართველო-რუსეთის წინააღმდეგ (**Application No.**38263/08), რომელიც დიდმა პალატამ უნდა განიხილოს.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ესეც ასე!

# რაც სინდის-ნამუსის გასხვისების შემდეგ დაგვრჩა...

## „ბორჯომის“ გაყიდვა დადასტურდა და დაფარული დეტალებიც გახმაურდა

**ნახევარ მილიარდ დოლარად შეფასებული „აიდიეს ბორჯომი“ კომპანიის აქციების გაყიდვა ოფიციალურად დადასტურდა, მაგრამ დეტალები კვლავ გასაიდუმლოებულია. თუმცა, საიდუმლო ქართველებისთვისაა, თორემ „ფორბსმა“ უკვე გამოაქვეყნა ერთ-ერთი უმსხვილესი გარიგების საინტერესო მონაცემები.**

კომპანიის სათავო ოფისში აცხადებენ, რომ ხელშეკრულება „აიდიეს ბორჯომსა“ და რუსულ „ალფა ჯგუფს“ შორის 2012 წლის ბოლოს გაფორმდა. მათივე ცნობით, ამჟამად კომპანიის აქციები ახალ მფლობელს უკვე მართვაში აქვს აღებული. თუმცა, აქციების რაოდენობასა და გაყიდვის ფასზე „აიდიეს ბორჯომში“ არ საუბრობენ.




**„აიდიეს ბორჯომის“ აქციების შესაძლო გასხვისების შესახებ ინფორმაცია შარშან პერმანენტულად ვრცელდებოდა. ახლა კი უკვე ცნობილი ხდება მისი გაყიდვის დეტალებიც. გამოცემა „ფორბსის“ ინფორმაციით, ერთ-ერთი საინვესტიციო ფონდი „ალფა-ჯგუფი“ იანვრის ბოლომდე დაასრულებს ყველა ოფიციალურ მხარეს კომპანია „აიდიეს ბორჯომის“ საკონტროლო პაკეტის შეძენასთან დაკავშირებით.**

გარიგებაში ბლოკ კორპორაციულ-საინვესტიციო ბანკის „ალფა-ბანკის“ ხელმძღვანელი, ვლადიმერ ტატარჩუკი მონაწილეობს. იგი ხელმოწერამდე შეთანხმების დეტალებზე საუბარზე უარს აცხადებს, მაგრამ „ფორბსმა“ ორ წყაროზე დაყრდნობით, რომლებმაც გარიგებაში მიიღეს მონაწილეობა, მყიდველისა და გამყიდველის სახით, ზოგი დეტალი გამოარკვია.

**მთლიანად კომპანია შეფასდა, დაახლოებით, 500 მილიონ დოლარად. „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ“-ის 87 პროცენტი 2008 წელს გარდაცვლილ ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეს ეკუთვნოდა, ხოლო დარჩენილი 13 პროცენტი - მინორიტარებს საქართველოდან და უკრაინიდან.**

**ახლა კი კომპანიის ახალი სტრუქტურა ასეთი იქნება: 6 პროცენტი - მინორიტარებს, 55,8 პროცენტი — „ალფა-ბანკს“, ხოლო 37,2 პროცენტი კი - პატარკაციშვილების ოჯახს. ბიზნესმენის მემკვიდრეები გარიგების შედეგად მიიღებენ 240-250 მილიონ დოლარს.**

თავის ფინანსურ მაჩვენებელს „აიდიეს ბორჯომი“ არ ახმაურებს, „ფორბსის“ წყაროები კი 2012 წლისთვის ასეთ მონაცემებს ასახელებენ: კომპანიის შემოსავლები — 350 მილიონი დოლარი, EBITDA (საწარმოო ღირებულება) - 95 მლნ დოლარი, ვალი — 80 მლნ დოლარი.

**კომპანია ფლობს აქტივებს სამ ქვეყანაში. უკრაინაში მას ეკუთვნის მინერალური წყლის სამი ქარხანა: მორშინსკის, მორგოროდის და ტრუსკავეცკის, რუსეთში — ქარხნები ლიპეცკში და კოსტრომში, საქართველოში — გრძელვადიანი ლიცენზია ბორჯომის წყაროების ადგილმდებარეობაზე.**

**კომპანია გასაყიდად ფონდმა „სელფორდმა“ 2011 წლის შემოდგომაზე გამოიტანა. სხვადასხვა ეტაპზე მისით დაინტერესება გამოთქვეს „ნესტლემ“, „კოკა-კოლამ“, „სტანდარტ კაპიტალმა“, რუსეთის პირდაპირი ინვესტიციების ფონდმა და სხვა.**

ალსანიშნავია, რომ **მყიდველმა რუსულმა „ალფა ჯგუფმა“ უაღრესად ხელსაყრელი დრო შეარჩია. კრემლმა დეკემბრის ბოლოს ქართულ მინერალურ წყლებზე 2006 წელს დაწესებული ემბარგოს გაუქმების პირობა დადო. ამის თაობაზე შეხვედრები მოსკოვში დღე-დღეზე გაიმართება.**

**ქართულ „ბორჯომსა“ და „ლიკანს“ რუსულ ბაზარზე დაბრუნება არ უნდა გაუჭირდეთ, მით უმეტეს, რომ „ალფა ჯგუფს“ რუსეთში საკუთარი მაღაზიების, სუპერმარკეტებისა და ჰიპერმარკეტების ერთ-ერთი უდიდესი ქსელი აქვს, რომელიც შარშან 1,5 მილიარდმა ადამიანმა მოინახულა.**

ყველაზე სახელგანთქმული ქართული ბრენდის — „ბორჯომის“ ისტორია 1825 წელს დაიწყო. მინერალურმა წყალმა მალე მთელს რუსეთის იმპერიაში გაითქვა სახელი. ქალაქი ბალნეოლოგიურ კურორტად და რომანოვების სამეფო დინასტიის საზაფხულო რეზიდენციად გადაიქცა. 1890 წელს „ბორჯომის“ საწარმოო ჩამოსხმა დაიწყო, 100 წლის შემდეგ კი „ბორჯომი“ საბჭოთა კავშირის ყველაზე პოპულარული მინერალური წყალი იყო, მისმა რეალიზაციამ 450 მილიონ ბოთლს გადააჭარბა.

**ეკა ბაქრაძე**

ჩვენ გვიყვარს, მაგრამ...

# სააკაშვილის ტყუილი და შენობის გარეშე დარჩენილი ფოთის თეატრი



**ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობის მშენებლობა უკვე შვიდი წელია მიმდინარეობს, რის გამოც, ობიექტს მსახიობები „აღარ აშენდას“ ეძახიან, თუმცა, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილი ამტკიცებს, რომ ფოთის თეატრალური დასი უკვე ახალ „ლამაზ შენობაში“ საქმიანობს.**

ქვეყნის პირველმა პირმა ფოთის თეატრის „ახალ“ შენობაზე, ევროსაბჭოში თანამედროვე ქართული ხელოვნების გამოფენის დათვალიერებისას ისაუბრა, სადაც ბოლო წლებში განხორციელებული ყველა არქიტექტურული პროექტი, მათ შორის აღდგენილი და რეაბილიტირებული ძეგლები იყო გამოტანილი.

მიხეილ სააკაშვილმა ჩვეულ სტილში ახალი ხელისუფლება გაკიცხა და ყურადღება ფოთის თეატრის შენობის გარდა, ფოთში მშენებარე ტაძარზეც გაამახვილა, რომელსაც მისი თქმით, აპრილში გახსნიან.

**„აქ ქართული კვირეული მოვაწყვეთ და ამაზე შარშან შევთანხმდით. დეკემბერში სტრასბურგის მერიაში გამოფენა გაიმართა და ჰოი, საკვირველებავ! ახალ მთავრობასა და კულტურის სამინისტროს გამოფენა ისე გაუკეთებია, რომ ღონისძიებაზე საქართველოს არც ერთი ახალი ხედი არ მოხვდა. ღონისძიებაზე 70-80-იანი წლების ალბომებიდან ამოღებული ფოტოები იყო გამოფენილი - ყველაფერი ისე გააკეთეს, რომ თითქოს, ბოლო ცხრა წელია, საქართველოში არ ყოფილან. ვიღაცას უნდა, რომ ამ ცხრა წლის მახსოვრობა ამოშალოს, თუმცა, ყველაფერს ხომ ვერ დაანგრევენ? კარგია, რომ ის წარმოადგინეს, რაც გაკეთდა. მეუფე გრიგოლთან ერთად, ფოთში ტაძარი ავაშენეთ. ახლა, ბაგრატს ლანძღავენ და ეტყობა, ფოთის ტაძარი არ უნახავთ, რადგან ათჯერ უარეს კრიტიკას ატეხენ. ჰაეროვანი ტაძარია, რომელიც განსაკუთრებული ენერგიით გაგავსებს. იცით, რომ აქ, ადრე თეატრი იყო განთავსებული, მაგრამ ჩვენი ინიციატივით, ამის პირდაპირ ლამაზი შენობა ავაშენეთ და თეატრი გადავიტანეთ“,** — განაცხადა პრეზიდენტმა.

მართალია, ქვეყნის პირველ პირს ფოთის თეატრის შენობა უკვე აშენებული ჰგონია, მაგრამ მშენებლობის პროცესის დასრულების თარიღად თეატრის მმართველი მაისს ასახელებს, მშენებარე კომპანიის წარმომადგენელი სექტემბერს, ხოლო მსახიობები ინფორმაციულ ვაკუუმში არიან.

როგორც For.ge-ს ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობმა გუჯა ქარაიამ განუცხადა, პრეზიდენტის განცხადება, რომ ახალ თეატრში გადასულები ვართ — აბსოლუტური სიცრუეა.

**„ასჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი ჯობიაო“ და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოვიდეს და ნახოს — თუ რა ვითარებაში ვმუშაობთ, რაც ამდენი წლის ფოთის თეატრის დასს არ ეკადრება. გაურკვეველია, ახალ შენობის გახსნას როდის ვიზეიმებთ. ფოთში ადამიანს ვერ მოძებნით, რომელიც გეტყვით მშენებლობის პროცესი რა ეტაპზეა. ინჟინერი არ ვარ, მაგრამ ნათლად ვხედავ, რომ შენობის მხოლოდ კარკასია გაკეთებული და არანაირი პირობები არ არის შექმნილი იმისა, რომ მშენებლობა უახლოეს მომავალში დასრულდება. ერთადერთი მოძრავი სცენა დაამონტაჟეს და იარუსის გადიდება მოინდომეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენობა დასრულებულია. არსებული მძიმე პირობების მიუხედავად, რეჟისორები ჩამოდიან და ძალიან გაჭირვებით, მაგრამ მაინც სპექტაკლებს ვდგამთ და თეატრს მუშაობა არ შეუწყვეტავს“,** — განაცხადა ქარაიამ.

ფოთის თეატრის შენობის მშენებლობის პროცესთან დაკავშირებით, For.ge-ს მსახიობი სანდრო გუჯაბიძეც ესაუბრა, რომლის განცხადებით, დასს შემოქმედებითი საქმიანობა მძიმე პირობებში უწევს.

**„თეატრის შენობის მშენებლობა 2008 წელს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მიზეზად აგვისტოს ომი დაასახელეს და აცხადებდნენ, რომ მშენებლობა 2010 წელს დამთავრდებოდა, მაგრამ უკვე 2013 წელი დაიწყო და გაურკვეველ ვითარებაში ვართ, როდის დასრულდება მშენებლობა. შვიდი წელია, რაც მშენებლობა მიმდინარეობს და უკვე შენობას — „აღარ აშენდა“ დავარქვით. დასს საქმიანობა გაუსაძლის პირობებში უწევს. მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით კი, ხშირად, ფოთის მერიასა და კულტურის სამსახურს კითხვით მივმართავთ, მაგრამ მშენებლობის დასრულების კონკრეტულ ვადას ვერ ამბობენ, ამის მიზეზად კი, არასაკმარის თანხებს ასახელებენ“,** — აცხადებს გუჯაბიძე.

ამჟამად, თეატრის დასი ფოთში არსებული ფოლკლორის ცენტრის პატარა შენობის პირველ სართულზეა განთავსებული.

**„შენობაში განთავსებულია დასი და ფოლკლორის ცენტრი. შესაბამისად, როდესაც, მეორე სართულზე რეპეტიციებია, ცეკვა-სიმღერა მუშაობაში ხელს გვიშლის. უფრო სწორად, ერთმანეთს ხელს ვუშლით, რადგან მათ თავიანთი პროგრამა აქვთ და ჩვენ კი, ჩვენი“,** — აცხადებს გუჯაბიძე.

ფოთის თეატრს საკუთარი შენობა როდის ექნება, ვითარების გარკვევა For.ge-მ თეატრის მმართველ თენგო ხუხიასთან სცადა, რომლის ინფორმაციით, მშენებლობის პროცესი ბოლო ეტაპზეა და თეატრი ახალ შენობაში გადასვლას მაისში შეძლებს.

**„რეალურად შიდა სამუშაოები მიმდინარეობს და ძალიან მალე ახალ შენობაში გადავალთ. ჩემი ინფორმაციით, ყველაფერი მაისში დასრულდება“,** — დასძინა ხუხიამ, მაგრამ მას შემდეგ, რაც For.ge-მ კითხვით მიმართა — **„თუ მშენებლობა, მართლაც მაისში სრულდებოდა, ამ ინფორმაციას თავად მსახიობები რატომ არ ფლობდნენ“,** ხუხიამ ვითარების გარკვევა მშენებარე კომპანია „კუნძულის“ წარმომადგენელ იგორ ღურჯიასთან გვირჩია, რომლის პირადი კონტაქტებიც თავად მოგვცა.

ალსანიშნავია, რომ ფოთის თეატრის შენობის მშენებლობის დასრულების კონკრეტულ თარიღს ღურჯია თავად ვერ ასახელებს და ამბობს, რომ მშენებლობის პროცესი სახსრებზეა დამოკიდებული.

**„შენობა? — სადაა ჯერ დასრულებული? — მშენებლობის პროცესი სადღაც სექტემბრისთვის იქნება დამთავრებული, მაგრამ ეს ყველაფერი, ფინანსებზეა დამოკიდებული. ჩვენ ტრანსფერს ველოდებით და როცა თანხებს მივიღებთ, მუშაობა მაშინ გაგრძელდება“,** — განაცხადა ღურჯიამ.

**თეატრის წარმომადგენელთა განცხადებებიდან იკვეთება, რომ პრეზიდენტი ცრუობდა, როდესაც თეატრის ახალ შენობაზე საუბრობდა, მაგრამ ვინაიდან, თეატრალური დასის მსახიობების ანაზღაურება მაქსიმუმ — 240 ლარით განისაზღვრება, უპრიანი იქნება მათ შემოქმედებითი საქმიანობისთვის შენობა მაინც ჰქონდეთ. ამით კი, კმაყოფილნი როგორც მსახიობები, ასევე საზოგადოება დარჩება, რომელიც უკვე შვიდი წელია, რაც ბილბორდს მაკეტითა და წარწერით — „მე მიყვარს ფოთის თეატრი“ შესცქერის.**

**თეონა მანაგაძე**

ინფორმაცია

## ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხზე კონსულტაციები მიმდინარეობს

**— ამის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძემ მთავრობის სახლში, გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების კონფესიებთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.**

**ხაბაძის თქმით, ბათუმის მეჩეთი მლოცველების სიმრავლის გამო გადატვირთულია, რის გამოც კიდევ ერთი მეჩეთის მშენებლობის საკითხი განიხილება. როგორც ხაბაძემ განმარტა, მუსლიმი მრევლის მოთხოვნაა ქალაქთან ახლოს მიწის ნაკვეთის გამონახვა და მთავრობის გვერდში დგომა.**

**— შეხვედრის დროს დაისვა კითხვა მეჩეთთან დაკავშირებით. ეს პრობლემა ჩვენთვის ცნობილია და ამ მიმართულებით ვმუშაობთ. მუსლიმ მრევლს არ ჰყოფნის ის მეჩეთი, სადაც ყოველ პარასკევს ლოცვას აღავლენენ. მათ აინტერესებთ ცალკე მეჩეთის გახსნა. ამ საკითხზე ვმუშაობთ და კონსულტაციები მიმდინარეობს. ამბობენ, რომ სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული მრევლი ვერ ახერხებს პარასკევობით ლოცვას. მათ აინტერესებთ მოზრდილი მეჩეთის მშენებლობა, სადაც მრევლის გადანაწილება მოხდება. ამ ეტაპზე მათი მოთხოვნაა მთავრობა დაუდგეს გვერდში და ქალაქთან ახლოს მიწის ნაკვეთი გამოინახოს, სადაც მეჩეთი აშენდება, — აღნიშნა არჩილ ხაბაძემ. მისივე თქმით, აღნიშნულ საკითხს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მუსლიმ მრევლთან ერთად განიხილავს.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# „ჩვენისათანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?“

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ მედიის საშუალებით, იშვიათად, მაგრამ მაინც გვინახავს შეცდომით დაპატიმრებული და პატიმრობიდან გათავისუფლებული პირი, 10-15 წლით თავისუფლებააღკვეთილი. მოგვისმენია სამართალდამცავთა გულახდილი აღიარება – შეცდომა მოგვივიდაო. ისიც გაგვიგია, რა საკომპენსაციო თანხის გადახდა მოუწია ხელისუფლებას, საბედისწერო შეცდომისთვის – საბედისწერო, უპირველეს ყოვლისა, მსჯავრდებულისთვის, თორემ სახელმწიფოსთვის არაფერს წარმოადგენს, გამართლებულისთვის გადაცემული საკომპენსაციო ათასები.

ციხეში გატარებული წლები, მით უმეტეს ათი და მეტი, ვერავითარი ათასებით ვერ ანაზღაურდება, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ციხეები, ჩვენთან არსებულთან შედარებით ბადენ-ბადენის კურორტია. ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებიდან გამოკლებული თუნდაც ერთი წელი, რაც არ უნდა „კარგ“ პირობებში ხდებოდეს ეს, აუნაზღაურებელი დანაკარგია.

განსაკუთრებით მძიმეა იმ ადამიანთა ხვედრი, ვინც ერთი და მეტი წელი გაატარა საქართველოს ციხეში. როგორც ციხეგამოვლილები ამბობენ, ქართული ციხე „უნიკალურია“ – გადატვირთული საკნებით, ცხენივით ფეხზე მძინარე პატიმრებით, ცუდი კვებით, არაადამიანური მოპყრობით, წამებით, მკვლელობით, უმდაბლესი სამედიცინო მომსახურებით, სხვა „ბედნიერებებით“.

ქართულ ციხეგამოვლილს იმდენად აქვს მორყეული ჯანმრთელობა, რომ ძვირადღირებულ უცხოურ კლინიკებში მკურნალობაც კი ვერაფერს გახდება. ციხიდან გამოსული, თუკი ამას ეღირსა, განადგურებულია როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქიკურად. მისი ჯანმრთელობის რეაბილიტაცია, ისეთ გაჩანაგებულ, არშემდგარ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა – შეუძლებელია.

შეუძლებელია იმის გამო, რომ სამედიცინო დაწესებულებებში უბრალო ვიზიტი – ექიმის კონსულტაცია რომ ჰქვია, არანაკლებ 50 ლარისაა. საავადმყოფოში დაწოლა ათასებს ეთამაშება, ისე, როგორც ოპერაცია. სააკაშვილის ამაყი განცხადებით, საქართველოში 5-ვარსკვლავიანი საავადმყოფოები გაიხსნა, რაც სინამდვილეს შეეფერება. უფრო მეტიც – იქ გადასახდელი თანხები, გაცილებით მეტია, ვიდრე 5-ვარსკვლავიან სასტუმროში, კვალიფიციური მომსახურება – გაცილებით ნაკლები.

**არაკვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მომსახურების დაბალი დონის შედეგად მრავალი პაციენტი უდროოდ გასცილდა ამ წუთისოფელს. არადა თვალს მოგჭრით ახალი საავადმყოფოების ინტერიერ-ექსტერიერები, თანამედროვე აპარატურა, მომსახურე პერსონალის ჩაცმულობა, ისევე, როგორც აშკარა ქართული მიდგომა საქმისადმი. სამედიცინო პერსონალის სამსახურში დაგვიანება, ერთმანეთში ლაზღანდარობა, ხმამაღალი ჭორაობა. პაციენტი კი იცდის. უცდის ექიმებს, როდის იჯერებენ გულს განყენებულ თემაზე საუბრით. ვერ შეეკამათები, ვერ მისცემ შენიშვნას – პასუხი უმალ აქვთ, თანაც მათ ხელში ხარ. სად წახვალ?**

**ისე, როგორც ყველაფერში – ფასადურად გადმოვიღეთ გარეგნული იერ-სახე, მაგრამ შინაარსით ისეთები დავრჩით, როგორებიც ვიყავით – მოშვებულები, უპასუხისმგებლოები, მოქეიფეები, დარდიმანდები, კარგი სადღეგრძელოების მთქმელები და ა.შ.**

ყველაფერ ამას დაუმატეთ წამლების ასტრონომიული ფასები და უმალ დაგებადებათ კითხვა - ამის შემხედვარე ცოცხლები როგორღა ვართ? აფსუს, საბჭოთა, თავისი უფასო სამედიცინო მომსახურებით, დაბალფასიანი, თანაც გაცილებით ეფექტიანი წამლებით, გულისხმიერი, ყურადღებიანი სამედიცინო პერსონალით. იმ „ავადსახსენებელ“ ჟამს ყველა უბანს თავისი ექიმი ჰყავდა, რომელიც საკუთარი ხუთი თითივით იცნობდა პაციენტებს. კვირა ისე არ ჩაივლიდა, 2-ჯერ მაინც არ შემოევლო უბანი. უბნის ექიმის კვალიფიკაცია, დღევანდელი პროფესორის დონეს უტოლდება, ყურადღება და გულისხმიერება მას გაცილებით მეტი ჰქონდა.

**სააკაშვილის ცხრაწლიანი ბატონობის დროს ჩაოხრებული სამედიცინო მომსახურება თავის ზენიტშია. მას ჯერჯერობით ვერაფერს უხერხებს ახალი ხელისუფლება. ახლები, მიუხედავად საარჩევნო დაპირებისა, ვერც მედიკამენტების ფასების შემცირებას ახერხებენ. განუკითხაობის თვალუწვდენელ ველზე უდარდელად დანავარდობენ „ავერსისა“ და „პე-ეს-პეს“ მონოპოლიური ფირმები – ატყავებენ და ატყავებენ საკუთარ აფთიაქებში, საკუთარ კლინიკებსა და საავადმყოფოებში მოხვედრილ, გაღატაკებულ მოსახლეობას.**

რაც ახალმა ხელისუფლებამ გააკეთა, უდანაშაულო პატიმრების ამნისტიაა, რეზონანსულმა გადაწყვეტილებამ საზღვარგარეთიც აალაპარაკა. ტელეკომპანია „ევრონიუსმა“, რუსულმა ტელეარხებმა მოკლე სიუჟეტები მიუძღვნეს ამ აქტს, იმ განსხვავებით, რომ „ევრონიუსმა“ პატიმართა ხსენებისას სიტყვა „პოლიტიკური“ დაივიწყა, რუსულმა კი – ხაზგასმით აღნიშნა.

**საქართველოს ომბუდსმენმა ნანუაშვილმა გაიხსენა ევროსაბჭოს ყოფილი გენერალური მდივნის შვიმერის სიტყვები – „ევროპისთვის ერთი პოლიტპატიმარიც ბევრიაო“. რა გამოდის, დალოცვილი ევროპისათვის თუ ერთი პოლიტპატიმარიც ბევრია, ევროპასთან ჩახუტებული, ნატოში შესვლის კანდიდატი, აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ „დემოკრატიის შუქურად“ აღიარებულ „საქართველოში“ მრავალი პოლიტპატიმარი შესაძლებელია? იქნებ ევროპარლამენტარები [illegible] ახალი ხელისუფლების აქტს, პოლიტპატიმრების გათავისუფლებასთან დაკავშირებით არ იზიარებს? იქნებ ამიტომაც აირიდა „ევრონიუსმა“ სიტყვა „პოლიტპატიმარის“ ხსენება? არადა ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, ისეა მათი საქმე.**

ციხიდან გამოსულები ერთი-მეორის მიყოლებით ყვებიან იმ აბსურდულ „დანაშაულზე“, რის გამოც სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ისინი სამშობლოს „ღალატისთვის“, სხვა ქვეყნის სასარგებლოდ „ჯაშუშობისთვის“, სახელმწიფო „გადატრიალების მცდელობისთვის“ ლამის 25 წლით და მეტით გამოამწყვდიეს ციხეში.

**მაინც რამდენი უდანაშაულო ადამიანი ყოფილა – სახელმწიფო „ღალატისთვის“ ციხეში გამომწყვდეული?! რამდენი ოჯახი განადგურდა? რამდენი ადამიანის ჯანმრთელობა შეირყა ქართულ ციხეებში გატარებულ წლებში? ვინ და რა შესძლებს მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაციას, ვინ გადაიხდის მკურნალობის ფულს? ვინ მისცემს მათ კომპენსაციას? ცხადია, ყოველივე სახელმწიფომ უნდა ითავოს, მაგრამ მან სწორედ გუშინდელთა ჯიბეებიდან უნდა ამოიღოს საკომპენსაციო თანხები, მათი ქონების კონფისკაციით, მათ მიერ გაძარცვული ქვეყნიდან ამოღებული ფულის დაბრუნებით.**

**ციხის აუტანელი პირობების კომპენსაცია, მორალური ზიანი, რაც სააკაშვილმა და მისმა ხროვამ მოუტანა უკვე ყოფილ პოლიტპატიმრებს, ვერავითარი ფულით ვერ კომპენსირდება, მაგრამ ჯანმრთელობის აღდგენას ფული სჭირდება და ის ნაცთა ჯიბეებიდან, ძარცვით გავსებულიდან, უნდა მოდიოდეს და არა სახელმწიფოს ანუ ხალხის ჯიბიდან – ბიუჯეტი რომ ჰქვია.**

პოლიტპატიმრების გათავისუფლებას ქართული და არა მარტო ქართული საზოგადოების ეიფორიული განცხადებები მოჰყვა, რაც ბუნებრივი და სასიხარულოა, **მაგრამ გაცილებით ბუნებრივი, სასიხარულო და, რაც მთავარია, სამოქალაქო პასუხისმგებლობით აღსავსე იქნებოდა, ყველა ყალბ დაჭერაზე, საზოგადოების რეაგირება, მით უმეტეს არასამთავრობოების, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დამცველების.**

**სამწუხაროდ, თითო-ოროლა წამოკნავლების გარდა, ასეთი არამ არ მომხდარა. არაფერი დაუშავდებოდა ასობით არასამთავრობო ორგანიზაციას, ერთი პირი შეეკრა და ხელი-ხელჩაკიდებულს ხმამაღლა ეთქვა – ხელისუფლებავ, სააკაშვილო – „სასწრაფოდ გაათავისუფლეთ უდანაშაულო მაისაია, ენვერელები, სამხედრო „მეამბოხეები““. და ა.შ.**

## ᲒᲘᲮᲐᲠᲝᲓᲔᲜ!



**ეთქვათ თუნდაც ისე, როგორც ეს თქვეს სულ ახლახანს, ძველ უბანში, ე.წ. სააკაშვილის ხიდზე შემდგარებმა, ივანიშვილის საწინააღმდეგოდ. რაო? ვერ გაბედეს, მათაც ოჯახები ჰყავთ და დაჭერას შეუშინდნენ? გამოდის, რომ ივანიშვილის მხრიდან დაჭერას არ მოელიან და იმიტომ დიდგულობენ?**

**საქმეც ეს არის. გარდა იმისა, რომ სააკაშვილის ეშინოდათ, სააკაშვილის რეჟიმის მხარდაჭერა იყო მათი მთავარი საქმიანობა. არასამთავრობოები ხომ სააკაშვილის ადმინისტრაციის, სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების კადრების სამჭედლო იყო. მაშ, რატომ აიმაღლებდნენ ხმას?! დღეს, შეიძლება, ვინაიდან დღეს ამისთვის არავის სჯიან, გარდა ამისა საკუთარი იმიჯისთვის ქულების დაგროვებაც ხომ საჭიროა?**

**ისინი რომ ასე იქცეოდნენ, არა მარტო სააკაშვილის მარიფათია, მათი შემქმნელების მარიფათიცაა, ანუ იმ ამერიკული ინსტიტუტების, ვისი ფულითაც არასამთავრობოების უდიდესი უმრავლესობა არსებობს. ოკეანისგადაღმელი დამფინანსებელი კი ფულს ტყუილად არ ყრის. მან ჩამოაყალიბა ქართული ფილიალები, ფული და „საგზაო რუკაც“ მისცა, ანუ ანტირუსული, პროამერიკული. და რახან გეზი დასავლური უნდა ყოფილიყო, ის უდავოდ პროსააკაშვილისეული უნდა ყოფილიყო. ასეთ ვითარებაში, რომელი მათგანი შემოჰკრავდა უკანონო დაპატიმრებებისთვის განგაშის ზარს?!**

*მიძინებული საელჩოები ვერა და ვერ გამოაფხიზლეს პოლიტიკურმა პარტიებმა, მედიამ, არასამთავრობოებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. ისინი ერთად არასდროს შეყრილან, თუნდაც აშშ-ის საელჩოსთან – უდანაშაულო პატიმართა განთავისუფლების მოთხოვნით. დარწმუნებული ვარ, მათ (პატიმრებს) კიდევ მრავალი წელი მოუწევდათ ციხის ხეხვა, რომ არა ივანიშვილი. მისმა პოლიტიკურმა გამოჩენამ იხსნა ისინი ციხისგან, შესაძლოა სიკვდილისგანაც.*

დღეს, იცოცხლეთ, ერთან ერთად ხარობენ, მაგრამ ვერ ხვდებიან, რომ დაგვიანებულია.

ასზე მეტი პოლიტიკური პატიმარი, ერთ მტკაველ საქართველოში, არათუ ბევრია, არამედ ძალიან, ძალიან ბევრია.

მაინც, რატომ არ ხედავდა ამას საქართველოში აკრედიტებული ამერიკა-ევროპის დიპკორპუსი? ცუდ მხედველობას მათ ნამდვილად ვერ დავწამებთ. აშშ-ს ელჩმა ნოლანდმა თვალი მოჰკრა ზუგდიდში, ანტიახალაიურ გამოსვლას, უმალ იქ გაჩნდა, რათა ეხსნა ნაცები განსაცდელისგან. აწ, ჩვენგან წასულმა ჰილარი კლინტონმაც არ დააყოვნა და ივანიშვილს დაურეკა გაღიზიანებულმა – ეს როგორ შეიძლებაო. მაგრამ არც მას და არც ერთ ევროპელ მაღალჩინოსანს სიტყვაც არ დაცდენია, 2011 წლის მაისის დარბევის დროს დაპატიმრებულთა გათავისუფლებაზე, ისე, როგორც გიორგაძის პარტიის წევრების ციხიდან გამოშვებაზე.

**აქვე უნდა ითქვას, რომ გიორგაძის პარტიის წევრების უკანონო დაპატიმრების თემას არც ერთი ქართული, მეტ-ნაკლებად გავლენიანი არასამთავრობო არ გამოსარჩლებია, უბრალო მიზეზის გამო, ისინი ე.წ. პრორუსებად მოინათლნენ. არც პოლიტიკურ პარტიებს მოუკლავთ თავი, პირიქით, ზოგიერთმა მათგანმა ისინი დამნაშავეებად მონათლა, ისე, როგორც 2011 წლის მაისის დარბევის ორგანიზებაში თვით დაზარალებულ ბურჯანაძეს დასდეს ბრალი. მას ლამის პროვოკატორობაც დასწამეს.**

**მიძინებული საელჩოები ვერა და ვერ გამოაფხიზლეს პოლიტიკურმა პარტიებმა, მედიამ, არასამთავრობოებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. ისინი ერთად არასდროს შეყრილან, თუნდაც აშშ-ის საელჩოსთან – უდანაშაულო პატიმართა განთავისუფლების მოთხოვნით. დარწმუნებული ვარ, მათ (პატიმრებს) კიდევ მრავალი წელი მოუწევდათ ციხის ხეხვა, რომ არა ივანიშვილი. მისმა პოლიტიკურმა გამოჩენამ იხსნა ისინი ციხისგან, შესაძლოა სიკვდილისგანაც.**

არავითარ დონეზე არ აღმოჩნდნენ რუსი ადამიანის უფლებათა დამცველები, დღეს რომ მკერდზე მჯიღის ცემით და ცრემლების ღვარღვარით შეეგებნენ ქართველ პოლიტპატიმრათა გათავისუფლებას. **არც ალექსეევას და არც მის და-ძმებს სიტყვაც არ დაცდენიათ უკანონო პატიმრების შესახებ. რაც მათ ხშირად დასცდათ – სააკაშვილის ხელისუფლების პერმანენტული ხოტბა იყო, თანდაყოლილი ოხვრით – ამას როდის ვეღირსებით რუსეთშიო. „სააკაშვილის რეფორმები უნიკალურია და თუ მან შესძლო, პუტინს რა ღმერთი უწყრებაო“, – ამბობდნენ ისინი. ბოლო მომართვაც ხომ სხვა დატვირთვას ატარებს, ანუ იმას, რომ ყველაფერი ეს ხელისუფლების ცვლამ მოიტანა, რომელსაც რუსეთში ვერ ვეღირსებითო.**

საინტერესოა, რა ხასიათზე არიან ფელგენგაუერები, ნოვოდვორსკაიები, სობჩაკები, ალბაცები, ბუნტმანები, ლატინინები, სხვები და სხვები (მაინც რამდენი არიან) სააკაშვილ-ბენდუქიძის მიერ ნაპატიებ-დაფინანსებულები, პოლიტპატიმრების გათავისუფლებასთან დაკავშირებით? დარწმუნებული ვარ, იხტიბარს არ გაიტეხენ და ამასაც სააკაშვილს მიაწერენ, ვინაიდან მან არჩევნების შედეგები ცნო და ომი არ წამოიწყო.

**და კიდევ ერთი რამ, რაც უდავოდ თვალშისაცემია და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს 1 ოქტომბერი არც ყოფილა. ყოველ შემთხვევაში ქართულ ტელეარხებს თუ შეავლებთ თვალს, უმალ დაიჯერებთ, რომ ცხოვრება ისე მიედინება, როგორც სააკაშვილის დროს. ტელეეკრანებზე კვლავ ყელს იღერებენ ნაცთა მიერ შობილი პოლიტოლოგ-ჟურნალისტობა. ისევ გაბიანები, თავხელიძეები, თუთბერიძეები, ჩიტაძეები (რომელი ერთი ჩამოვთვალო) უფუჭებენ გუნება-განწყოფილებას ხალხს. არადა ისინიც ისეთივე დამნაშავეები არიან, როგორც ნაცები. რა გახდა ასეთი, ნუთუ „მაესტროს“, „კავკასიას“, „მეცხრე არხს“ სხვებს ჯვარი აქვთ მათზე დაწერილი?**

**ვირს პიტნა ეზარებოდა და ცხვირში ტენიდნენო – ისეა ჩვენი საქმე. ტელეეკრანზე მოჭახჭახე, სეირის შემქმნელი ჟურნალისტობა, ვითომდა განსხვავებული აზრის გამოსათქმელად იწვევს მათ, რითაც შეურაცხყოფს საზოგადოებას, თუმცა რა გასაკვირია? მათი მიზანი ერთია – მყვირალა შოუს დადგმა, საკუთარი პროგრამის შევსება – საკუთარი ინტერესებისა და არა მაყურებლისთვის. ტელესივრცეში არაფერი შეცვლილა. ისეთივე შოუები, ე.წ. „ცნობადი სახეებით“, ისეთივე შემართება, რაც „დაპურებული“ სააკაშვილის პერიოდში იყო. ისეთივე უდარდელი სიცილ-კისკისი, სრულიად შეუფერებელი, დათრგუნული ქვეყნისთვის, ისეთივე დიდი თანხების ყრა ვიღაცვიღაცეების შოუებში და ა.შ.**

**ისინი მაშინაც ზეიმობდნენ, როდესაც ასეულობით პოლიტპატიმარი „ვირის აბანოს“ ხეხავდა. არც ერთი სიტყვა უდანაშაულო პატიმრებზე არ დაცდენიათ მათ. პირიქით, ფილარმონიაში კონცერტებს მაშინაც მართავდნენ, როდესაც შენობის წინ, პატიმართა წამებით აღშფოთებული სტუდენტობა, ანტისამთავრობო მიტინგებს აწყობდა. ამას წინათ ბატონი ხმალაძე ტელეეთერში ამბობდა – ყველას ვერ მოსთხოვ გმირობას. ნაცებთან თანამშრომლობაზე ბევრი წავიდა იმ საბაბით, რომ ოჯახები გვყავსო. კეთილი, მაგრამ, როგორ აღმოჩნდნენ დაპურებული, ცხოვრებააწყობილი შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები სააკაშვილის ბანაკში? როგორ შეუშვირეს მკერდი, სააკაშვილის ორდენს, პარლამენტის შენობის წინ, სისხლით შეღებილ მოედანზე?**

**სააკაშვილის ფენომენი თავისით, სხვათა დაუხმარებლად არ აღმოცენდებოდა. პროცესს უდავოდ ხელი შეუწყო წინა ხელისუფლებამ, გადაჭარბებული ჭამით გაზარმაცებულმა, წინა ხელისუფალმა, დღეს რომ გაიძახის, სააკაშვილს თუ ნამუსი აქვს, თვითონ უნდა წავიდესო, იმ პოლიტიკოსებმა, საზოგადოების „ცნობადმა სახეებმა“, ვინც ჩათვალა, რომ სააკაშვილთან ერთად სამარადისოდ მოაჯდებოდნენ ამ ქვეყანას. მოაჯდნენ კიდევაც, თუმცა ცოტა ხნით.**

**გაიმპერატორებულმა ბელადმა არც ისინი დაინდო, მხოლოდ თითო-ოროლა წლით დაუფასა ამაგი „ვარდების რევოლუციის“ განსამტკიცებელი აქციების მოწყობისთვის, წინამორბედი სახელისუფლებო თუ სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელების კაბინეტების ლამის აჭედვისთვის, მათი იძულებითი გაძევებისთვის.**

სააკაშვილის მლანძღველთა შორის სწორედ ისინი არიან, ვინც გზა გაუკაფა მას ხელისუფლების მწვერვალებისკენ – სააკაშვილის მინისტრები, ელჩები, დეპუტატები, გუბერნატორები... ყველა ისინი, ვინც ვერ იჯერებდა, რომ პრეზიდენტმა მოიშორა. გახსოვთ ალბათ, ჟურნალისტთა შეკითხვებზე, რატომ გაანთავისუფლეს, ისინი პასუხობდნენ – **ჯერ არ გავუთავისუფლებივარ, ველი მასთან შეხვედრასო.**

* * *

ᲛᲐᲘᲜᲪ, როგორ წარმოუდგენიათ სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლა? ოქტომბერი შორსაა, გარდა ამისა მისი გამონათქვამების მიხედვით, არსად იკითხება პრეზიდენტობიდან წასვლის სურვილი. როგორც ჩანს, „ოცნებელებიც“ შეეგუენ ოქტომბრამდე სააკაშვილის პრეზიდენტობას. ამ შეგუებაში ლომის წილი სტრატეგიული პარტნიორისაა. ოქტომბრამდე უნდა ავიტანოთ, თქვა საპარლამენტო უმრავლესობამ, მაგრამ ოქტომბრის შემდეგ...



**45 წლის ჯან-ღონით სავსე სააკაშვილი არც სხვა ქვეყანაში გადასახლდება და არც მემუარების წერას დაიწყებს – ერთობ ახალგაზრდა ასაკი აქვს ამისთვის. რასაც ის მოიმოქმედებს ოპოზიციური ბრძოლა იქნება – ბრძოლა შეუპოვარი, დაუნდობელი, ერთი მიზნისთვის, გამარჯვებისთვის.**

**ᲒᲘᲮᲐᲠᲝᲓᲔᲜ!**

**ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲭᲘᲞᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝᲒᲘ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# თქვენ ცა გნიშნავთ...

მას შემდეგ, რაც სსრკ დაიშალა და დიდი ხნის ნანატრი დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ქართველმა ხალხმა მრავალი განსაცდელი გამოიარა. მის წინაშე დადგა ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური და სხვა პრობლემები, რომელთა გადაჭრა, ასეული წლების განმავლობაში დამოუკიდებლობის არმქონე ერებისთვის, დიდ სიძნელეებს წარმოადგენდა. სწორედ ასეთი განსაცდელის ჟამს სჭირდება ერს, თავისსავე წიაღში აღზრდილი, მისი სატკივარით დაავადებული, განათლებული „სწავლულ კაცთაგან“ შედგენილი მთავრობა. სამწუხაროდ, ქართველი „სწავლული კაცების“ უმრავლესობამ ერის წინაშე ეს მისია ვერ ან არ შეასრულა, პირიქით, ზოგიერთ მათგანს სამშობლოს ღალატშიც შეიძლება ბრალი დავდოთ.

ამ წერილის გამოქვეყნებას არ ვაპირებდი. ჩემს თავს ვარწმუნებდი, რომ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ხშირად გამოთქმული მოსაზრება — ჩვენს თავს დატეხილი ყველა უბედურება ქართველების ხასიათის ნაკლოვანებების შედეგიაო, შეწყდებოდა და დავიწყებას მიეცემოდა. მაგრამ, თურმე ვცდებოდი. შეგნებულად თუ შეუგნებლად ასეთი გამოსვლები დღესაც გრძელდება. სამწუხაროა, რომ ამ მავნე პროპაგანდაში ქართველი მწერლები, პოეტები, ხელოვნების მოღვაწენი მონაწილეობენ, ე. ი. ის ადამიანები, ვისაც ერის საწინამძღვროდ „ცა ნიშნავს“ და „ღმერთთან ლაპარაკობენ“. მე მათ გვარებს არ დავასახელებ, არა იმიტომ, რომ მათი მერიდება, არამედ იმ მიზეზით, რომ ზოგი მათგანი გარდაცვლილია, გარდაცვლილზე კი ან კარგს ამბობენ, ან — არაფერს, ზოგიერთი შეიძლება გონს მოეგოს, დაფიქრდეს, კრიტიკული თვალით გადახედოს თავის ნაღვაწ-ნამოქმედარს და დაადგეს სიმართლის გზას. ამ კატეგორიის ადამიანების გადაბრუნ-გადმობრუნება ხომ არც თუ ისე ძნელია. დარწმუნებული ვარ, ამ წერილის წაკითხვისას, არც ერთი მათგანი თავიანთ თავს „ვერ იცნობს“. ასეთია მათი ბუნება.

მოკლე კომენტარებით წარმოგიდგენთ „სახელოვანი მამულიშვილების“ ზოგიერთ გამონათქვამებს. ისინი ზოგად წარმოდგენას მაინც შეგვიქმნის იმ საერთო იდეოლოგიური ზემოქმედების შესახებ, რომელსაც, ჩვენ მოღალატური ვუწოდეთ.

**„მე ვიმყოფებოდი სასტუმრო „თბილისში“ და ჩემი თვალით ვხედავდი, თუ რა ვაჟკაცურად ებრძოდნენ კიტოვანის გვარდიელები ზ. გამსახურდიას მომხრეებს“.** ამას ამბობს მწერალი, მწერალთა კავშირის წევრი! ვაი ჩვენს პატრონს! რუსეთში, სამოქალაქო ომის დროს, გენერალმა დენიკინმა თავის არმიაში აკრძალა ყოველგვარი ჯილდოს გაცემა — ძმათამკვლელ ომში შეუძლებელია ვინმეს დაჯილდოებაო. ჩვენი „ღმერთთან მოლაპარაკე“ მწერალი კი კიტოვანის გვარდიელების ნახევარს გმირობის ორდენებით დააჯილდოებდა.

**„კრემლი არ არის, დაირღვა და მისი აგენტები სად იქნებიან?“** — „სვამს რიტორიკულ-მიამიტურ კითხვას ცნობილი პოეტი. როგორ ეხმიანება ეს სიტყვები ე. შევარდნაძის „ხუმრობას“: **„რუსეთს არ სჭირდება აგენტები საქართველოში. ჩემზე და ნადიბაიძეზე უკეთეს აგენტს ვინ იპოვის“.** უშიშროების ყოფილი მინისტრი ა. მაისურაძე ადასტურებს პოლკოვნიკ ვ. ვარდანაშვილის სიტყვებს, რომელიც წერს: **„საქართველოში ბევრია ისეთი** (აგენტი — **ვ. თ.**), **ვისაც არალეგალური პოზიციებიდან ამუშავებენ. მიაკითხავს ასეთს რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომელი და ეტყვის თქვენ აგენტი ხართ ამ ფსევდონიმით. ჩვენ გადავწყვიტეთ გავაგრძელოთ თქვენთან თანამშრომლობა და კონკრეტულ დავალებას აძლევენ“.** ყოფილი მინისტრი განაგრძობს: **არც ერთ აგენტს არ მოუკლავს თავი სპეცსამსახურის კლანჭებიდან თავი რომ დაეღწია. „ეს კი ნიშნავს, რომ აგენტურული ქსელი მოქმედებს. ძნელი წარმოსადგენია, რომ რუსებმა უარი თქვან თავის აგენტებზე საქართველოში“.**

უშიშროების გენერლისა და პოლკოვნიკის სიტყვებს უნდა ვენდოთ. **„რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო — ასეთი სიმღერა ერს არ უნდა ჰქონდეს“.** ამ სიტყვების ავტორიც ადამიანის უფაქიზესი სულიერი განცდების გამომხატველი პოეტია, რომელმაც, ალბათ, კარგად იცის, რომ ერთსა და იმავე სიტყვებს, ზოგჯერ, სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს. ცნობილი გერმანული სიმღერა **„გერმანია, გერმანია, ყველაზე მაღალია, ყველაზე მაღალია მთელს მსოფლიოში“,** თავდაპირველად, როდესაც შეიქმნა, XX ს. 30-იან წლებში, არავითარ შოვინისტურ და რასისტულ მიზნებს არ ემსახურებოდა. იგი გერმანელ ხალხს გაერთიანებას, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას მოუწოდებდა, რაც ახალგაერთიანებული ერისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. ამ დროს ბავარიელი, პრუსიელი, ვიურტემბერგელი და ა. შ. გერმანელი თავს უპირატესად ბავარიელად, პრუსიელად, ვიურტემბერგელად მიიჩნევდა და არა გერმანელად. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა იყო საქართველოში. გერმანელებს ერთიანობისაკენ და ერთიანი ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის სწრაფვაში არავინ არ ეწინააღმდეგებოდა, ქართველებს კი ათეული წლების განმავლობაში ჩაგვჩიჩინებდნენ, რომ ქართველი, კახელი, იმერელი, მეგრელი, სვანი და ა. შ. სხვადასხვა ეთნოსია, რომ ისინი თავიანთი არასრულფასოვნების გამო უნდა ემორჩილებოდნენ მათზე მაღლა მდგომ რუს ხალხს.

გახსოვთ, ალბათ, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, თვალსაჩინო ადგილზე გაკეთებულ სტენდზე, მოკავშირე რესპუბლიკების ხალხთა ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი თოჯინები იდგნენ. მათ შორის სიმაღლით რუსულ ეროვნულ ტანსაცმელში თოჯინა გამოირჩეოდა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ მას — რუსს დანარჩენ ხალხებზე მეტი უფლება უნდა ჰქონოდა.

„ეროვნულ უმცირესობათა“ შესაძლებლობების დაკნინების ცდები არახალია, ძველია. მას აქტიურად მიმართავდნენ საბჭოთა კავშირის „ძმურ ოჯახშიც“. გავიხსენოთ, თუ რაში სდებდა ბრალს ლ. ბერიას სკკპ ცკ-ს პრეზიდიუმის წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. კაგანოვიჩი ცკ-ს დახურულ პლენუმზე 1953 წლის ივლისში: **„ამხანაგმა სტალინმა დიდი სამამულო ომის შემდეგ გამართულ ბანკეტზე** (იგულისხმება 1945 წელს 24 ივნისს კრემლში გამართული ბანკეტი — **ვ. თ.**)... დიდი რუსი ხალხის შესანიშნავი სადღეგრძელო წარმოთქვა... ბერიამ კი გაკვრით მოიხსენია რუსი ხალხი და თავისი სიტყვა ეროვნული რესპუბლიკების პირმოთნე ხოტბა-დიდებით გაავსო, რითაც მათ ეროვნულ თავმოყვარეობას უღვიძებდა“. ე. ი. ეროვნული რესპუბლიკების ხალხების ნაციონალური თავმოყვარეობის გაღვიძება რუს შოვინისტებს ყველაზე დიდ საშიშროებად მიაჩნდათ და, ცხადია, ისინი ყოველნაირი საშუალებებით ცდილობდნენ მათ დათრგუნვას. ასეთ პირობებში, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელმა მწერალმა, საზოგადო მოღვაწემ, გასამხნევებლად, საკუთარ ძალებში დასარწმუნებლად რომ შეუძახოს თავის ხალხს: შენ, ჩემო ხალხო, მსოფლიოში ყველაზე კარგი ხარო, მე მგონი, ამაში ცუდი არაფერია, მით უმეტეს, თუ ამგვარ გამონათქვამს ხალხი არასერიოზულად იღებს.



1992 წლის იანვრის გადატრიალების შემდეგ, დროებითი მთავრობის პოლიტიკურ საკონსულტაციო საბჭოს წევრი წერდა: **„ხშირად ეჭვი შეაქვთ დროებითი საბჭოს ლეგიტიმურობაში. ნუთუ ის ფაქტი, რომ დროებითი მთავრობა 26 სახელმწიფომ სცნო, მის კანონიერებაზე არ მეტყველებს?“** ეს განცხადება მოსახლეობის გაუთვითცნობიერებულ ნაწილზეა გათვლილი. ცნობილია, რომ სახელმწიფოებმა ზ. გამსახურდიას მთავრობის ცნობა დაიწყეს და არა დროებითის.

> ***მწერლების, ხელოვნების წარმომადგენელთა, საზოგადო მოღვაწეთა მართალ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერის გაჯანსაღების, მისი თავისთავადობისა და ეროვნული სიამაყის (რომლის გარეშე ერის არსებობა წარმოუდგენელია) ჩამოყალიბების საქმეში.***

1992 წლის იანვრის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსული ხელისუფლების ლეგიტიმურობას „გვიმტკიცებს“ უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე. **„გამარჯვებული თავისთავად ლეგიტიმურია. ამიტომ ის ვერსია, რომ არსებული ხელისუფლება არაკანონიერია — აბსურდია. საფრანგეთის რევოლუციამ გაიმარჯვა და გახდა ლეგიტიმური, თებერვლის რევოლუციამაც, ბოლოს და ბოლოს კომუნისტურმა პარტიამაც. ეს ისტორიით დადგენილია. ასე რომ, ცოტა დაფიქრება გვმართებს, როდესაც ასეთ შეფასებას ვიძლევით“.**

მართლაც, დაფიქრება გვმართებს, როცა ასეთ რამეს ვამტკიცებთ და სხვებსაც ჭკუას ვასწავლით.

**„ორი წელია, საქართველო ერთი კაცის** (ე. შევარდნაძის — **ვ. თ.**) **პურს ჭამს“** — ამ სიტყვების ავტორიც ცნობილი პოეტია. ვინ ვის „აჭამა“, ამას ისტორია გაარკვევს. ამავე პოეტს სატელევიზიო ინტერვიუში შეეკითხნენ: **„რას მიიჩნევთ შევარდნაძის მთავრობის ნაკლადო“.** მან უპასუხა: **„ოპოზიციის წინააღმდეგ მეტი სიმკაცრეა საჭიროო“.** ა, რავარია? კარგი პასუხია, ნამდვილ პოეტს რომ შეეფერება ისეთი. ასეთი პასუხები თუ არ მოგწონთ, ხმას რატომ არ იღებთ? მარტო იმ „პოლიტიკოსების“, პარლამენტარების, საზოგადო მოღვაწეების და სხვების გამონათქვამები შეავსებდა რამდენიმე თაბახს, რომლებიც სამეგრელოზე „გადავლისაკენ“ მოუწოდებდნენ ხალხს. რამ უნდა გააბოროტოს კაცი ისე, რომ ასეთ მოწოდებებს აჰყვეს და მას დაუჯეროს.

ბუნებრივია, ყველა ქართველი საზოგადო მოღვაწის, პოეტის, ხელოვნების წარმომადგენლების მიმართ საყვედურის თქმა არასწორი იქნება. ბევრი მათგანი თანამიმდევრულად, მტკიცედ იდგა ეროვნულ, მართებულ პოზიციებზე, რაც მათ შემოქმედებაშიც აისახა. გავიხსენოთ, თუნდაც, 1992 წლის იანვრის იმ ავადმოსაგონარ დღეებში დაწერილი შოთა ნიშნიანიძის ლექსიდან: **„ამ ბიჭს ჰგონია მკვდარი არის საქართველოსთვის. ო, არა შვილო! მოკლული ხართ მავანთ ტახტისთვის“.**

ისე ნურავინ გამიგებს, თითქოს, მე მწერლებს, პოეტებს, ხელოვნების მოღვაწეებს პროფესიული პოლიტიკური საქმიანობისაკენ მოვუწოდებდე. ეს დიდი შეცდომა იქნებოდა, ოღონდ გავიხსენოთ, რას წერდა გოეთე: **„თუ პოეტი პოლიტიკაში გარევას მოიწადინებს, ის რომელიმე პარტიაში უნდა შევიდეს, მაშინ ის დაკარგულია როგორც პოეტი, მაშინ ის უნდა დაემშვიდობოს თავის თავისუფალ სულს, მიუკერძოებელ თვალსაზრისს და დაიხუროს რაღაც სიჩლუნგის, სხვათა მიმართ ბრმა სიძულვილის ჩაჩი“.** ასეთი ჩაჩი, სამწუხაროდ, არა ერთმა ჩვენმა პოეტმა, მწერალმა, ხელოვანმა დაიხურა. ცალკეული მაგალითი, თუნდაც ილია ჭავჭავაძის სახით, საერთო სურათს არ ცვლის. მართალია, მას ურჩევდნენ **„ჩოთქი ძირს დადე ილია, ყველა წავა და დარჩება ეგ შენი „განდეგილია“,** მაგრამ ილია ერის მამად სწორედ მისმა საქვეყნო, საზოგადო მოღვაწეობამ აქცია, რაც ეპოქის თავისებურებებით იყო გამოწვეული.

ზოგიერთი ისე გაკადნიერდა, რომ უახლესი პერიოდის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების დისკრედიტაციის მიზნით, საერთოდ, ეროვნული მოძრაობის განქიქებაც კი დაიწყო და ამ მიზნით XIX საუკუნესაც გადასწვდა. ქართველ მწერალს როგორ უნდა მოუბრუნდეს ენა ასეთი განცხადებისთვის: **„ჩვენ, ბედოვლათი ქართველები, მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში მხოლოდ იმას ვუმტკიცებდით ერთმანეთს, რომ ქართველი, კახელი, იმერელი, გურული და მეგრელი ყველა ქართველი ვართო, ნამდვილი მტრის ხატი კი ვერ შევქმენითო“.** ამ სიტყვებს, ალბათ, ზედმეტი ემოციურობის ან უნებლიე შეცდომის შედეგად ვერ მივიჩნევთ. შეუძლებელია მწერალმა არ იცოდეს, თუ რა სიძნელეების გადალახვა უხდებოდათ XIX საუკუნის პროგრესულად მოაზროვნე ქართველ საზოგადო მოღვაწეებს ქართული ენის დასაცავად, ქართული თეატრის ასაღორძინებლად, საქართველოს ისტორიის გამყალბებლებისაგან თავის დასაცავად. ისინი არა მარტო იცავდნენ ქართველის ეროვნულ ღირსებას შინაური მოღალატისა თუ გარეშე მოძულეთაგან, არამედ ქმნიდნენ კონკრეტულ მტრის ხატსაც, როდესაც პერიოდიკის ფურცლებზე სასტიკად ამათრახებდნენ რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებლებს ველიჩკოს, სუვორინს, პალმს და მათ ხელშემწყობ ქართველ მოღალატეებს.

ზოგიერთებმა ისე არ გაგვიგონ, თითქოს ჩვენ რუსეთთან კონფრონტაციისკენ მოვუწოდებდეთ, არა! ჩვენ ვგმობთ თანამედროვე ველიჩკოებს, სუვორინებს, პალმების შთამომავლებს, რომლებიც, სამწუხაროდ, არც თუ ისე მცირე რაოდენობით არიან რუსეთში და მის ფარგლებს გარეთ.

ასეთ პირობებში მწერლების, ხელოვნების წარმომადგენელთა, საზოგადო მოღვაწეთა მართალ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერის გაჯანსაღების, მისი თავისთავადობისა და ეროვნული სიამაყის (რომლის გარეშე ერის არსებობა წარმოუდგენელია) ჩამოყალიბების საქმეში. „თერგდალეულთა“ მოღვაწეობა ასეთი საქმიანობის სანიმუშო მაგალითს იძლევა.

ზემოთ მოტანილი ციტატების მსგავს „შედევრებს“ ერთი მოზრდილი ტომი ვერ დაიტევს, მაგრამ, ვგონებ, ესეც საკმარისია იმისათვის, რომ მკითხველმა გაიგოს ჩვენი გულისტკივილი.

მე მჯერა, რომ მოყვანილი ციტატების ავტორთა მეტ ნაწილს გულწრფელად სწამთ ის, რასაც წერენ, მათი შეცდომებიც არაგამიზნული, უნებლიეა. ჭეშმარიტება ხომ ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების მიღმაა. ამიტომ, ერის წინამძღოლობაზე პრეტენზიის მქონე პირებს „ცის მიერ დანიშნულებს“ და „ღმერთთან მოლაპარაკეებს“, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ მხარეებს შორის მედიატორის მოვალეობის შესრულება უფრო შეეფერება, რაც აშკარა დამნაშავეების დასჯასაც არ გამორიცხავს.

**ვაჟა თვალავაძე**

ახალი შრომის კოდექსი

# დასაქმებულის უფლებები გაიზრდება

**იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი აცხადებს, რომ დამსაქმებელს არ შეეძლება დასაბუთების გარეშე გაათავისუფლოს დასაქმებული.**

მისი თქმით, შრომის მოქმედ კოდექსში ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ყველაზე მეტ კრიტიკას სწორედ დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის არგუმენტაციის გარეშე გათავისუფლება იმსახურებდა.

შრომის კანონმდებლობაში ცვლილებების პროექტის მიხედვით კი, ეს საკითხი მთლიანად იცვლება. შეიცვლება, ასევე, შრომითი ხელშეკრულებების ფორმატი, რომელიც აქამდე ძირითადად ზეპირ ხასიათს ატარებდა, იყო მოკლევადიანი და დასაქმებულს საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობას არ აძლევდა.

**„რეალურად დღეს საქართველოს არ აქვს ტექსტი, რომელიც იმსახურებს შრომის კოდექსის სახელწოდებას, ამიტომაც გვქონდა შეხვედრები პროფკავშირებთან, დამსაქმებლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და შევიმუშავეთ ახალი პროექტი. მთავარი აქ არის ერთი რამ — არც ერთ დამსაქმებელს მომავალში არ შეეძლება დასაბუთების გარეშე, ერთი ხელის მოსმით, დასაქმებული სამსახურიდან გაათავისუფლოს. ასევე, შრომითი ურთიერთობის ზეპირი ფორმები შეიძენენ წერილობით და უფრო დეტალურ ხასიათს. დროებით დასაქმებულთა ინტერესები იქნება მაღალი ხარისხით დაცული. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იფიქროს დამსაქმებელმა, რომ შრომის კოდექსი მასზე იქნება მორგებული“,** — განაცხადა თეა წულუკიანმა.

ამის საპასუხოდ ჟურნალ „ტაბულას“ მთავარი რედაქტორი თამარ ჩერგოლეიშვილი წულუკიანის ინიციატივას მავნებლურს, ხოლო ახალ მთავრობას არაკომპეტენტურს უწოდებს.

ჩერგოლეიშვილი პირად მაგალითსაც იშველიებს. კერძოდ, იგი, როგორც დამსაქმებელი, ეძებს ნიჭიერ და შრომისმოყვარე კადრებს (გამოცდილებას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან ხშირად ეს გამოცდილება მანკიერია). ამიტომ ასეთი კადრების მოძიებისთვის საუკეთესო გზას პოულობს — სამსახურში იყვანს თითქმის ყველას, ვინც პირველად კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს და პროცესს აკვირდება. შემდეგ მათ ან დაიტოვებს, ან დაითხოვს, რის შესაძლებლობასაც აქამდე არსებული შრომის კოდექსის მოქნილობა აძლევს.

თეა წულუკიანის მიერ შეთავაზებული ცვლილებები კი ჩერგოლეიშვილს მოქნილობას უზღუდავს, რადგან, თუ ადამიანის სამსახურიდან დასათხოვად საფუძველი უნდა მოძებნოს, თავს შეიკავებს ერთი ხელის მოსმით ადამიანების დაქირავებისგან. ეს კი საკუთარი თავის გამოვლენის შესაძლებლობას მოუსპობს ახალგაზრდა და ნიჭიერ კადრებს.

**For.ge** ეკონომიკურ ექსპერტებს ესაუბრა.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში სანდრო თვალჭრელიძე აცხადებს, რომ **დღემდე ჩვენთან მოქმედებდა ისეთი კანონმდებლობა, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოს არსებობდა ევროპაში, საფრანგეთის მესამე რესპუბლიკაში.** „ნაციონალური მოძრაობის“ ბატონობის დროს აბსოლუტურად მიუღებელი ცვლილებები შევიდა შრომის კანონმდებლობაში. ამიტომ შრომის კანონმდებლობა ევროპულთან შესაბამისობაშია მოსაყვანი.

**„თუ გახსოვთ, ევროკომისიის ერთ-ერთი რეკომენდაცია ზუსტად ეს გახლდათ — არ შეიძლება ადამიანი შენს საკუთარ სახელმწიფოში სოციალურად დაუცველი იყოს. დღესდღეობით საფრანგეთში სახელმწიფო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება საერთოდ არ შეიძლება, თუკი მას სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია და ციხეში არ ჩაუსვამთ. შეუძლიათ, ჩამოაქვეითონ, გადაიყვანონ უფრო დაბალ თანამდებობაზე, მაგრამ ხელფასის განაკვეთს ვერ შეუმცირებენ და სამსახურიდან ვერ გააგდებენ. ასეთი კანონებია ევროპაში“,** — აღნიშნა სანდრო თვალჭრელიძემ.

თამარ ჩერგოლეიშვილის შეფასებებთან დაკავშირებით კი სანდრო თვალჭრელიძე აცხადებს, რომ გიგა ბოკერიას მეუღლე მისთვის ავტორიტეტი არ არის.

ექსპერტი დემურ გიორხელიძე აცხადებს, რომ **დღემდე საქართველოს შრომის კოდექსში იგნორირებული იყო ადამიანის უფლებები. აღნიშნული კოდექსი შეურაცხყოფდა დასაქმებულს, იმდენად უუფლებო იყო დასაქმებული. ეს ყველაფერი კი გაკეთდა ყალბი ე.წ. ლიბერტანიალური დოქტრინის ფარგლებში, თითქოსდა, თავისუფალი ბაზრის ხელშეწყობის მიზნით.**

დემურ გიორხელიძის თქმით, **სინამდვილეში, დამქირავებლებს შეუქმნეს ისეთი პირობები, როცა მათ განუკითხავად შეეძლოთ, მიეღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომ არ გაეთვალისწინებინათ დაქირავებულის ინტერესები. ამიტომ, შრომის კოდექსში სერიოზული ცვლილებები უნდა შევიდეს, რადგან არ შეიძლება თანამშრომლის დაუსაბუთებლად, საფუძვლის გარეშე გათავისუფლება.**

**მისივე თქმით, საერთაშორისო გამოცდილება ძალიან მარტივია და დასაბუთებული პრეტენზიების გარეშე ადამიანს ვერ უშვებენ სამსახურიდან. საქართველოში კი საშინელი ბოლშევიკური შეხედულებები დაგმობილ უნდა იქნას, როცა ბიზნესის პატრონს მეორე დღეს გაეღვიძება და ვიღაც არ მოუვა თვალში, ამიტომ თავისი ახლობელი მოჰყავს.**

დემურ გიორხელიძე აცხადებს, რომ **ახალ შრომის კოდექსში არავითარი მავნებლობა არ არის.**

**მარიამ ლოლაშვილი**



განსჯა



# ორხელისუფლებიანობის ტიპური მაგალითი

## ვის გამო და ვის ხარჯზე?

თავის დროზე გორის საკოლმეურნეო ბაზრის, იგივე „სავაჭრო ცენტრის“ გაყიდვის დროს, მაშინდელმა საქართველოს ომბუდსმენმა სოზარ სუბარმა სპეციალურად მოაწყო პრესკონფერენცია, რათა „ცენტრის“ მომავალი მფლობელი გაეფრთხილებინა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, რადგანაც ამ ქონებას ჰყავდა კანონიერი მფლობელი და თავის დროზე ის სახელმწიფოს მიერ წართმეულ ქონებაზე პრეტენზიას აუცილებლად განაცხადებდა. გორის გამგებელმა დავით ხმიადაშვილმა და ვერა ქობალიას უწყებამ ყურად არ იღეს სახალხო დამცველის გაფრთხილება და საკოლმეურნეო ბაზარი აუქციონზე გაიტანეს. პირველი აუქციონი ჩაიშალა, მეორე, დაწეული ფასით გამოტანილ აუქციონზე „ცენტრი“ ქართულ-ებრაულმა კომპანიამ „საქართველო-ისრაელის პროექტის მენეჯმენტმა (ხელმძღვანელი გოგი ბოჭორიშვილი) შეიძინა. აქვე კომპანიამ აიღო ვალდებულება. 2012 წლის ბოლოსთვის გორის გარეუბანში ბაზრის აეშენებია (ავტოსადგომით). მაგრამ მოულოდნელად გაჩნდა სუბარის ნაწინასწარმეტყველევი პრობლემები. ტერიტორიის წინანდელმა მფლობელმა ჯემალ წიკლაურმა იჩივლა, რომ ქონება იძულებით წაართვეს, „საჩუქრად“ გადააცემინეს სახელმწიფოსათვის და გამოაცხადეს სახელმწიფო საკუთრებად. თვითონ მეპატრონე კი ციხეში ჩასვეს.

ისტორია 2004 წლიდან იღებს სათავეს. მაშინ მის კანონიერ მფლობელს ჯემალ წიკლაურს ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემა მოსთხოვეს. უარის მიღების შემდეგ იგი დააპატიმრეს და მხოლოდ 2006 წელს, მას შემდეგ, რაც მისმა მფლობელმა ნოტარიულად გააფორმა საკუთარი ქონების სახელმწიფოსთვის საჩუქრად გადაფორმება-შეთანხმება, წიკლაური პატიმრობიდან გაათავისუფლეს „ვარდოსნების“ ზეობის დროს სიმართლის მიღწევა თითქმის შეუძლებელი იყო და ქონებააყრილი ბედს შეეგუა.

საქართველოში პოლიტიკური რეალობის შეცვლის შემდეგ წიკლაურმა კანონიერი გზით დაიწყო უკანონოდ წართმეულის მოთხოვნა. რამდენიმე დღის წინათ გორის მუნციპალიტეტის საკრებულოს წინაშე წარსდგა ერთობლივი ქართულ-ებრაული კომპანიის წარმომადგენელი, რომელმაც ითხოვა მთელი რიგი პრობლემების წარმოშობის გამო ბაზრის სამუშაოების გადავადება 2012 წლის 31 დეკემბრიდან, 2013 წლის 1 მაისამდე, ამასთანავე, კომპანია ითხოვდა მერიას სამშენებლო ობიექტზე მაღალი ძაბვის ბოძები დაემონტაჟებინა. გამგეობის სხდომაზე დაინტერესდნენ გადავადების მოთხოვნის მიზეზით. გაირკვა, რომ წიკლაურს ქონების დაბრუნების შესახებ განცხადება შეტანილი ჰქონდა პროკურატურაში, რაც დაუყოვნებლივ ეცნობა საქართველოს ეროვნულ ბანკსა და გორის მუნიციპალიტეტს. ბანკებმა ქართულ-ებრაულ კომპანიას კრედიტების გაცემა შეუჩერეს და არსებული ფულადი ანგარიშები გაუყინეს.

აი გამგეობამ კი, რომლის უმრავლესობა ნაციონალური მოძრაობის წევრები არიან, ყურად იღო პრეზიდენტის აბსოლუტურად უპასუხისმგებლო მიმართვა ადმინისტრაციული ორგანოებისადმი: არ დაემორჩილონ პარლამენტის უკანონო (ვინ როგორ თვლის — **რედ.**) დადგენილებებსა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, რის შედეგადაც „საქართველო-ისრაელის პროექტის მენეჯმენტს“ მოთხოვნა დაუკმაყოფილა და ახალი ბაზრის მშენებლობის დასრულების ვადა 2013 წლის 1 მაისამდე გადაუწია. საკრებულო ორგანოს არ გაუთვალისწინებია სადავო ქონების არსებობა.

კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი პატიოსანი შემსყიდველები არიან და ბაზარი, შემდგომ ახალი ტერიტორიაც სახელმწიფო ორგანოსაგან, მუნიციპალიტეტისა და ეკონომიკის სამინისტროსაგან შეისყიდეს. მათ არ იცოდნენ თუ ქონება სადავო იყო და მისი ყოფილი მფლობელი ჩიოდა და დაბრუნებას ითხოვდა. კომპანია ამის შესახებ საქმის კურსში არავის ჩაუყენებია: „სავაჭრო ცენტრში“ შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო უკვე 3 თვეა სერიოზული შეფერხებები აქვთ სახელფასო ანაზღაურებაში.

სპეციალისტთა განმარტებით როგორც „საკოლმეურნეო ბაზრის“ მხარე, ასევე იძულებით ქონებააყრილი წიკლაური, თავის მხრივ მართლები არიან, დანაშაული მიუძღვით ეკონომიკის სამინისტროსა და გორის მუნიციპალიტეტის მაშინდელ ხელმძღვანელებს (სხვათა შორის, მათი უმეტესობა დღესაც ინარჩუნებს თანამდებობებს). სიტუაციის ჩიხში შესვლის შემთხვევაში სახელმწიფო იძულებული იქნება დააკმაყოფილოს ყველა მომჩივანი მხარის მოთხოვნები. მაგრამ იბადება კითხვა — ვის გამო და ვის ხარჯზე?

**ზაზა ბილიხოძე**

ინფორმაცია

## იუსტიციისა და სასჯელაღსრულების სამინისტროებს შორის მემორანდუმი გაფორმდა

**დოკუმენტს თეა წულუკიანმა და სოზარ სუბარმა იუსტიციის სამინისტროში ხელი მოაწერეს. მემორანდუმი ყოფილი მსჯავრდებულებისთვის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების კუთხით თანამშრომლობას ითვალისწინებს.**

**როგორც სასჯელაღსრულების მინსიტრმა სოზარ სუბარმა ჟურნალისტებს განუცხადა, შეიქმნება რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ერთიანი სტრატეგია და შემუშავდება ერთიანი სამოქმედო გეგმა. რესოციალიზაციის პროცესში სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და არასამთავრობოები ჩაერთვებიან.**

**იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, ყოფილი პატიმრების რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი არასოდეს ყოფილა. — ჩვენ გადავწყვიტეთ, ამ მხრივ გადავდგათ პირველი ნაბიჯი, რომ დანაშაულთან ბრძოლა არ გულისხმობდეს მხოლოდ ადამიანის ციხეში ჩასმას, არამედ გულისხმობდეს იმაზე ზრუნვასაც, როგორ გამოვა ის ციხიდან და როგორ ჩაეწერება საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად. ამით დაცული იქნება არა მხოლოდ თავად ყოფილი პატიმარი ხელმეორედ დანაშაულის ჩადენისგან, არამედ, საზოგადოებაშიც გაიზრდება დაცულობის გრძნობა, — აღნიშნა თეა წულუკიანმა.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოს და რუსეთის კონფლიქტის ზონაში დაშვებას მოითხოვს

ოთხშაბათს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ.

დოკუმენტში მოცემულია პრაქტიკული რეკომენდაციები ყველა მხარისთვის, თუ როგორ გააუმჯობესონ საქმის ვითარება ამ ზონაში. რუსეთის დელეგაციამ მოხსენება „პოლიტიზებულად“ მიიჩნია და წინააღმდეგ გამოვიდა.

„დაშვება, დაშვება და კიდევ ერთხელ დაშვება“ — ასე დაიწყო თავისი გამოსვლა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებელმა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ თინა აკეტოფტმა. შვედეთის პარლამენტის წევრი, რომელმაც თავისი მოხსენების მომზადებას ორი წელი მიუძღვნა, ამბობს, რომ დაშვების პრობლემას ეხება ყველაფერი — დაწყებული ლტოლვილთა შესაძლებლობიდან მოინახულონ თავიანთი ნათესავების საფლავები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და დამთავრებული საერთაშორისო მეთვალყურეთა ვიზიტებით კონფლიქტების ზონაში.

„რამდენადაც ეს სამწუხარო არ უნდა იყოს, სამხრეთ ოსეთში ვერ მოვახერხე ჩასვლა. ჩემი იქ დაშვება დაბლოკილი იყო. იმის პრობლემა, თუ საიდან შევსულიყავი ამ ტერიტორიაზე და როგორი გზით დავტოვებდი მას, პოლიტიკოსებისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ადგილზე ჰუმანიტარული პრობლემების გამოკვლევის საშუალების მოცემა ჩემთვის“, — აღნიშნა თინა აკეტოფტმა.

მისი სიტყვებით, ამ რაიონში მცხოვრებთა ზუსტი ოდენობაც არ არის მისთვის ცნობილი — რაღაც 15 და 30 ათას მცხოვრებთა შორის, და მდგომარეობის შეფასება სამხრეთ ოსეთში მან ვერ შეძლო, მხოლოდ მოსკოვში მიიღო ზოგიერთი მონაცემები. ამ მონაცემებიდანაც ჩანს, რომ პრობლემები ცხინვალის რაიონში ძალიან სერიოზულია და არანაირი პოსტკონფლიქტური რეალიზაცია ამ ტერიტორიაზე, ფაქტობრივად, არ ხდება.



მომხსენებელმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე აფხაზეთში ჩასვლა შეძლო და იგი ამბობს, რომ იქ ხალხისთვის, ვინც დაზარალდა 2008 წლის კონფლიქტის დროს, რაღაც კეთდება — წყდება საყოფაცხოვრებო პრობლემები, დაიწყო ბრძოლა კორუფციასთან და რეკეტთან, გამარტივდა ადმინისტრაციულ საზღვარზე გადასვლა.

თინა აკეტოფტმა გააკეთა დასკვნა, რომ რუსეთის სამხედროების ყოფნა „ოკუპირებულ ტერიტორიებზე“ (ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ეს ტერმინი შემაჯამებელ რეზოლუციაში დატოვა) აღიქმება ორნაირად: აფხაზებისთვის და სამხრეთ ოსეთელებისთვის ეს არის გარანტია მათი უშიშროებისთვის, ქართველებისთვის და საერთაშორისო გაერთიანების დიდი ნაწილისთვის კი — იმის ნიშანი, რომ საქართველოს ნაწილი ოკუპირებულია მეზობელი სახელმწიფოს მიერ.

### რუსეთი არ არის თანახმა

სწორედ სიტყვამ „ოკუპირებული“, აგრეთვე იმან, რომ თინა აკეტოფტი არ დაეთანხმა, შესულიყო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსეთის მხრიდან, გამოიწვია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რუსი წევრების უკმაყოფილება. რუსეთის დელეგაციის მეთაურმა ასამბლეაში, სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსეი პუშკოვმა კენჭისყრის შემდეგ დაიჩივლა ჟურნალისტებთან: „შინაარსით მოხსენება არ იყო ცუდი, მაგრამ მის ტექსტში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, როგორც საქართველოს ტერიტორიის მოხსენიების ფაქტმა, ჩვენთვის შეუძლებელი გახადა მისი მხარდაჭერა. მე ადრე უკიდურესად გაოცებული ვიყავი ქალბატონი აკეტოფტის სიტყვებით იმის შესახებ, რომ რუსეთის დელეგაცია ამ დებატების პოლიტიზებას ახდენს — მან ხომ თვითონ გააკეთა ეს მოხსენება პოლიტიკურად, როგორც კი ამ ორ რაიონს საქართველოს ნაწილი უწოდა“.

* * *

**ნინო ახმეტელი, ბი-ბი-სის რუსული სამსახურის კორესპონდენტი, თბილისი.**

საქართველოს მხარე კმაყოფილია რეზოლუციით, რომელიც 23 იანვარს სტრასბურგში მიიღო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიამ.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ როგორც გამარჯვებული საპარლამენტო კოალიცია „ქართული ოცნების“, ისე ამჟამინდელი ოპოზიციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, რაც შეეხებოდა საშინაო პოლიტიკის საკითხებსა და დაპირისპირებულ შეფასებებს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის 21 იანვარს სტრასბურგში გამოსვლასთან დაკავშირებით, საკითხებში, რომლებიც შეეხებოდა რეზოლუციას, დელეგაციის წევრებმა შეძლეს, მოლაპარაკებულიყვნენ და ერთიანი ფრონტით მიეღწიათ — შეეტანათ შესწორებები თავდაპირველ ტექსტში, რომელსაც ბევრმა „შერბილებული“ უწოდა თავიანთ ფორმულირებაში რუსეთთან დაკავშირებით.

ქართველი დეპუტატების სიტყვებით, რეზოლუცია ასახავს საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხებს, კერძოდ, დოკუმენტში გათვალისწინებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლება თავიანთ სახლებში დაბრუნების შესახებ და მოწოდება, უზრუნველყონ ევროპელი მეთვალყურეების დაშვება „ოკუპირებულ“ ტერიტორიებზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ მიესალმება „რეზოლუციის დეტალურ მიდგომას ჰუმანიტარული პრობლემებისადმი“, გამოთქვა იმედი, რომ ევროსაბჭოსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით შესაძლებელი გახდება, მივაღწიოთ რეალურ პრობლემებს, რომლებიც აღნიშნულია რეზოლუციაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო თავის განცხადებაში აღნიშნავს, რომ დოკუმენტი მოუწოდებს რუსეთის მხარეს, შეასრულოს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც მიღებულია 2008 წლის 12 აგვისტოს, და რომ ამგვარი მოწოდება „არ ყოფილა დაფიქსირებული ევროსაბჭოს ჰუმანიტარული ტიპის არც ერთ რეზოლუციაში“.

თავად თინა აკეტოფტმა, როდესაც კომენტარს უკეთებდა რუსი დეპუტატის სიტყვებს ბი-ბი-სის რუსული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში, აღნიშნა, რომ მისი შესაძლო ვიზიტი სამხრეთ ოსეთში რუსეთის მხრიდან შეფასებული იქნებოდა თბილისის და მოსკოვის მიერაც, როგორც ამ ტერიტორიის დამოუკიდებელი სტატუსის ირიბი აღიარება.

როგორც შვედი დეპუტატი ამბობს, მას ძალიან აღელვებს, რომ საუბარი სტატუსის შესახებ არის მთავარი, ხოლო რეალური ნაბიჯები იმ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ვინც დაკარგა თავიანთი სახლები და ახლობლები ოთხნახევარი წლის წინათ, გაყინულია.

თავის მოხსენებაში მან აღნიშნა, რომ ფული, რომელიც რუსეთმა სამხრეთ ოსეთს გამოუყო აღდგენისთვის, უმეტეს წილად უცნობია, სად წავიდა — ამის შესახებაც და იმის შესახებაც, თუ როგორ მოწესრიგდეს სხვადასხვა ეროვნების ბავშვთა სწავლა მშობლიურ ენაზე, უნდა ვისაუბროთ ყოველგვარ მოლაპარაკებამდე სტატუსის შესახებ.

### პანდორას ყუთი

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შედეგები, თინა აკეტოფტის სიტყვებით — ეს არის „პანდორას ღია ყუთი“, რომლის დახურვასაც დიდად არ ცდილობენ. „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებანი უსირცხვილოდ აცხადებენ იმის შესახებ, რომ არ დაუშვებენ, ლტოლვილი ქართველები დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში“, — ამბობს იგი აღშფოთებით.

თუმცა, აფხაზი ჩინოვნიკების მისამართით თინა აკეტოფტი საუბრობს ნაკლები კრიტიკით — სწორედ მათ მისცეს მას ნება ჩასულიყო სოხუმში საქართველოდან.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე დელეგაციის უმრავლესობამ მადლობა გადაუხადა თინა აკეტოფტს მისი მუშაობისთვის და ხმა მისცა რეზოლუციას, რომელიც, სხვა პრობლემებთან ერთად, მოუწოდებს რუსეთსა და საქართველოს უზრუნველყონ საცხოვრებელი ადგილებით შესაბამისად ოსი და ქართველი დევნილები, აწარმოონ მოლაპარაკება საერთაშორისო მშვიდობისმყოფელი ძალების განთავსების შესახებ და დაუშვან ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლები ცხინვალის რაიონში. ასამბლეამ ასევე რეკომენდაცია მისცა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს, დააჩქაროს მოსმენა საერთაშორისო საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“, რომელიც განხილვისთვის ამ სასამართლოში არის.

რეზოლუციაშიც და ასამბლეის რეკომენდაციაშიც ცალკე არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ კონფლიქტის რეგიონში ბავშვებმა უნდა მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე და სწორედ ამ მოთხოვნის განხილვის დროს ორ დელეგაციას, რომლებიც კინკლაობდნენ დოკუმენტის ცალკეული ფორმულირების შესახებ, გაუჩნდათ შესაძლებლობა იყვნენ სულგრძელები.

ქართველები, რომლებიც თავდაპირველად მოითხოვდნენ რეზოლუციაში ქართულად სწავლების გარანტიას, იოლად დათანხმდნენ, დაემატებინათ ამ პუნქტში აფხაზური ენაც. რუსეთის წარმომადგენლებმა ასეთი დამატებითაც კი არ დაუჭირეს მხარი ამ აბზაცს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში.

BBC RUSSIAN.com

# საქართველოს პრემიერი თავის რიგებს წმენდს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ვიცე-პრემიერის პოსტიდან გადააყენა პრეზიდენტის პოსტის ერთ-ერთი კანდიდატი ირაკლი ალასანია. ბატონი ალასანია რჩება თავდაცვის მინისტრად, მაგრამ ექსპერტები სავსებით სავარაუდოდ მიიჩნევენ მის წასვლას ივანიშვილის გუნდიდან — აზრთა სხვადასხვაობის გამო მმართველ კოალიციასთან პრეზიდენტის არჩევნების საკითხზე, რომელიც გათვალისწინებულია შემოდგომისთვის, და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებით.

როგორც ჩვენ ვვარაუდობდით, საკითხი პრეზიდენტის არჩევნების წესის შესახებ და იმის შესახებ, თუ ვინ დაიკავებს ამ პოსტს, გამოიწვია სერიოზული წინააღმდეგობა ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ალასანიას შორის. შედეგად საქართველოს მთავრობის საიტზე გაჩნდა ცნობა ალასანიას გათავისუფლების შესახებ ვიცე-პრემიერის პოსტიდან. პრემიერის საკადრო გადაწყვეტილება იყო რეაქცია პოლემიკაზე მასსა და ბატონ ალასანიას შორის. პოლიტიკოსებმა იდავეს იმის შესახებ, თუ როგორ აირჩიონ პრეზიდენტი: საყოველთაო კენჭისყრით, როგორც გათვალისწინებულია მოქმედი კონსტიტუციით, თუ პარლამენტში საკონსტიტუციო რეფორმის შესაბამისად, რომლის ინიცირებაც რესპუბლიკურმა პარტიამ მოახდინა.

ირაკლი ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“, როგორც რესპუბლიკელებიც, შედიან ბიძინა ივანიშვილის კოალიციაში „ქართული ოცნება“. თავად პრემიერი უფრო რესპუბლიკური ვარიანტისკენ იხრება. მან უკვე მოახდინა სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ამ პარტიის წევრის ვახტანგ ხმალაძის ნომინირება. მაგრამ საყოველთაო არჩევნების შემთხვევაში ხმალაძეს გამარჯვების ნაკლები შანსი აქვს. „ალასანიას რეიტინგი მთელი თავით მაღლაა ყველა პოლიტიკოსზე, ვისაც განზრახული აქვს მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნებში“, — ამბობს ერთ-ერთი სოციოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი მერაბ ფაჩულია.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გამოსვლის დროს ალასანიამ განაცხადა, რომ მასსა და პრემიერს შორის გაიმართა „მძიმე საუბარი“ პრეზიდენტის არჩევნების წესის შესახებ და შესაძლო კანდიდატურებზე. „ეს როდი ნიშნავს, რომ ჩვენ გავითიშეთ, დავები კოალიციაში სავსებით ნორმალური ამბავია“, — დაუმატა თავდაცვის მინისტრმა.

ვიცე-პრემიერის პოსტის დამკარგავი ალასანია რჩება თავდაცვის მინისტრად, ვინაიდან სამხედრო უწყების მეთაურის თანამდებობიდან გათავისუფლება შეუძლია მხოლოდ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. „თუ ივანიშვილს სურს, შეცვალოს თავდაცვის მინისტრი, მან წინადადებით უნდა მიმართოს პრეზიდენტს, რომელიც ეზიზღება“, — განაცხადა პოლიტოლოგმა მიხეილ თავხელიძემ. „თუ ალასანია სულ წავა მთავრობიდან, მასთან ერთად პრემიერს შეუძლია გაათავისუფლოს მისი გუნდის წევრებიც: საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მაია ფანჯიკიძე, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და ევროინტეგრაციის საქმეთა მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი“, — მიაჩნია ექსპერტს.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**დავოსი — 2013-ის პირველი შედეგები: მთავარი ნეგატიური სცენარი რუსეთისთვის და მედვედევის მცდარი ტაქტიკა**

სამივე პესიმისტურ ვარიანტს რუსეთის ეკონომიკის მომავლის შესახებ აერთიანებს ფედერალური ხელისუფლების უმოქმედობა. არც ერთი მათგანი პრემიერმა პირადად არ მიიჩნია რეალურად და დაიწყო თავისი მთავრობის ეფექტიანობის მტკიცება. მაგრამ ინვესტორებში არც ქვეყნის „წარმატებამ“, არც მედვედევის თვით სიტყვამ ინტერესი არ გამოიწვია: ზოგი დარბაზს ტოვებდა, სხვებს ეძინათ.

* * *

**ჩრდილოეთმა კორეამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ამზადებს ბირთვულ აფეთქებას**



ეს იქნება ანგარიშით მესამე გამოცდა — წინა გამოცდები მოეწყო 2006 და 2009 წლებში. წინა დღით კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გაეროს უშიშროების საბჭოს პასუხად — გააფართოოს სანქციები დეკემბერში ბალისტიკური რაკეტის გაშვებასთან დაკავშირებით, განაცხადა ქვეყნის განზრახვაზე, გაზარდოს სამხედრო პოტენციალი და განავითაროს ბირთვული პროგრამა.

* * *

**პენტაგონმა გააუქმა შეზღუდვა ქალების მონაწილეობის შესახებ სახმელეთო საბრძოლო ოპერაციებში**



იგეგმება, რომ სიახლეების შესახებ გამოცხადდება უკვე 24 იანვარს. ამერიკის შეერთებულ შტატებმა ერაყსა და ავღანეთში ოპერაციების დროს იქ გაგზავნა 280 ათასი ამერიკელი ქალი-სამხედრო მოსამსახურე. მათგან 152 დაიღუპა. მთლიანად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერაყსა და ავღანეთში 6,6 ათას კაცზე მეტი დაკარგა.

* * *

**აზერბაიჯანში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოაწყვეს დარბევა სასტუმროს მფლობელის „ჰუმერის“ ბოძზე შეჯახებასთან დაკავშირებით**

ბიზნესმენის გამომწვევმა საქციელმა აღაშფოთა ქალაქ ისმაილის მცხოვრებლები. მათ „გამოხატეს თავიანთი პროტესტი“. აღელვებულმა მოქალაქეებმა დაწვეს სასტუმრო და კომერსანტის სამი უცხოური მარკის მანქანა. შემდეგ აქციის მონაწილეები გაეშურნენ აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის სახლისკენ და სურდათ მისი დაწვაც, მაგრამ მათ ხელი პოლიციამ შეუშალა.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# და მსოფლიო ჩვენ თვალწინ იცვლებოდა

## ნაწყვეტი თეიმურაზ სტეპანოვ-მამალაძის წიგნიდან

### 1989 წლის 9 აპრილი.

დილით ადრე თბილისში „მოშიმშილეთა“ გაფიცვის დარბევის დროს დახოცეს ხალხი. ისროდნენ, თითქოს, ბრბოდან. ჯარისკაცებმა უპასუხეს. მეტი დეტალები არ ვიცი.

ედუარდ შევარდნაძემ გადადო შინაგან საქმეთა მინისტრების კომისიის სხდომაზე ჩასვლა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვიზიტი. ჩვენ ახლა თბილისში მივფრინავთ. მე დავარწმუნე იგიც და ჩემი ექიმებიც, რომ აუცილებელი იყო ჩემი წასვლაც მასთან ერთად თბილისში.

მივფრინავ შიშით, მაგრამ რომ არ წავიდე თბილისში, არ შემიძლია. იქ არის ჩემი სახლი. და ახლა მე იქ უნდა ვიყო ედუარდ შევარდნაძესთან ერთად.

### 9–23 აპრილი.

გზაში ვგრძნობ, თბილისში სიტუაცია ძალიან რთულია, ტრაგიკულიც და გამოუვალიც თბილისისთვის, საქართველოსთვის და – ჩემთვისაც.

შეიძლება ამ სიტუაციის გადმოცემა ქრონოლოგიურად, წესრიგის დაცვით, მაგრამ იყო კი საერთოდ წესრიგი საქართველოს ისტორიაში, ვთქვათ 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ – იმ დროიდან, საიდანაც ინსურგენტები ადგენენ ქართული ტრაგედიების სიას?

არანაირი წესრიგი მასში არ ყოფილა, იყო მხოლოდ ქაოსი, რომელიც წარმოქმნა ბოროტმა ნებამ, ავანტურიზმმა, პატივმოყვარეობამ და არაკომპეტენტურობამ ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც.

ამას ვწერ საავადმყოფოში, იმავე № 316 პალატაში, საიდანაც გავიქეცი ვნუკოვოს აეროპორტში 9 აპრილს, რომ გავფრენილიყავი თბილისში.

დავიწყებ წერას ახალი ფურცლიდან.

### 1989 წლის 9–18 აპრილი.

გარდაქმნის სისხლიანი კვირა.

წინა დღით, 8 აპრილს საავადმყოფოში დამირეკა ედუარდ შევარდნაძემ, მკითხა ჯანმრთელობის შესახებ. მე შევეკითხე, თუ აპირებს ის თბილისში წასვლას, სადაც 4 აპრილიდან მთავრობის სახლის წინ მიმდინარეობდა ე.წ. არასანქცირებული მიტინგი შიმშილობით. ზარებისა და საუბრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ვითარება დაიძაბა და გამწვავდა, თუმცა, კონკრეტულად რომელი მიმართულებით – უცნობი იყო. ჩემს შეკითხვაზე შევარდნაძემ მიპასუხა, რომ თბილისში წასვლას არ აპირებს, რომ „იქ მათ ჯერ კიდევ აქვთ რეზერვი მუშაობისთვის“ და, რომ არ სურდა რაიმე არაპოპულარული, უსიამოვნო გადაწყვეტილებები მის სახელთან იყოს დაკავშირებული. მაშ ასე, ის არ აპირებს თბილისში წასვლას.

მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემი კოლეგისგან გავიგე, რომ სიტუაცია შეიცვალა და შევარდნაძე მიდის თბილისში.

შუადღისას მე მას დავურეკე და ვკითხე, ხომ არ წამიყვანდა მეც თბილისში.

– კარგი იქნებოდა, შენც ჩვენთან ყოფილიყავი. მაგრამ ექიმები გამოგიშვებენ?

– მოვახერხებ, – ვუპასუხე მე.

თვითმფრინავში გავიგე, რომ თბილისში 8-9 აპრილის ღამით, დილის 4 საათზე დემონსტრაციის დარბევის დროს დაიღუპა ხალხი, რომ ქალაქში შეიყვანეს ჯარები და 10 აპრილის ღამით ქალაქში შემოღებული იქნება კომენდანტის საათი.

თვითმფრინავში ჩვენთან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გიორგი რაზუმოვსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გაზეთებისა და ჟურნალების სექტორის გამგე ვიქტორ ბაკლანოვი და სხვები.

აეროპორტში დაგვხვდა ჯუმბერ პატიაშვილი. ამტკიცებენ, რომ გადაწყვეტილება ჯარის შემოყვანისა და ძალის გამოყენების შესახებ მას ეკუთვნის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი აშკარად დათრგუნულია, მოდუნებული. ჩვენი ურთიერთობა ჩემი საგარეო საქმეთა სამინისტროში გადასვლის შემდეგ გართულდა.

ახლა, როდესაც მისმა ვარსკვლავმა დაბლა დაშვება დაიწყო, არ შემიძლია არ ვიყო მისი თანამგრძნობი. აეროპორტში გავიგონე მისი ჩურჩულით ნათქვამი: „როგორ მიღალატეს სამხედროებმა!“ ცენტრალური კომიტეტის შენობაში, სადაც პირდაპირ აეროპორტიდან მივედით, თქვა: „შევეკითხე როდიონოვს, თუ როგორი იქნებოდა ოპერაცია. მან მითხრა: „თითოეულ დემონსტრანტს ერთ-ორ პანღურს ამოვკრავთ და მეტი არაფერი! ახლა კი, ყოველივე ამის შემდეგ, მე კაცი აღარ ვარ“.

რატომ მოხდა ეს? ხომ არსებობს, რაც მთავარია, საქართველოს „პირველ პირთათვის“ „ორმოცდათექვსმეტი წლის კომპლესი“, რომელიც წარმოიშვა, როგორც შეგნებისა და სულისკვეთების ფენომენი 1956 წლის მარტში რუსთაველის პროსპექტზე ახალგაზრდების დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ. ეს მოხდა ვ.პ.მჟავანაძის დროს. ედუარდ შევარდნაძე შეიძლება შევიდეს თავისი ხალხის ისტორიაში უკვე თუნდაც იმით, რომ 1978 წლის აპრილში და სხვა დროსაც მან თავიდან აიცილა სისხლისღვრა. ჯუმბერ პატიაშვილმა ახლა ეს ვერ შეძლო. მას არ უნდოდა სისხლისღვრა.

იმ დღეებში თბილისში ჩამოსული ალექსანდრ გელმანი წერს წყურვილის, გამარტივების ცოდვაზე. ჯუმბერმა მოინდომა წასულიყო პირდაპირ, გაემარტივებინა გზა გასასვლელისკენ რთული კოლიზიიდან. ამ გაპირდაპირებულმა, შემოკლებულმა გზამ მიგვიყვანა 9 აპრილის ბართლომეს ღამესთან, სხვაგვარად მოაზროვნეთა განადგურებასთან, საბოლოოდ კი – თავად პატიაშვილის პოლიტიკურ დაღუპვასთან.

იგივე გელმანი წერს იმათ უპატიებელ უპასუხისმგებლობაზეც, ვისაც აქვს ხალხის მართვის უფლება – არაფორმალ რადიკალ-ლიდერებზე, ვისაც მიჰყვება ახალგაზრდობა, და ხელისუფლებაზე, რომელსაც „აქვს უფლება გამოიძახოს ჯარები ან განკარგოს თავად უშუალოდ ყველაფერი“...

მე კი აქ დავუმატებდი ე.წ. ინტელიგენციას, ვინც ესწრაფვოდა დარჩენილიყო ძლიერთა ამა სოფლისა ფავორიტებადაც და ამავე დროს „ხალხის მეგობრებადაც“...

ჯ.პატიაშვილმა თავად დაისაჯა თავი თავისი ცოდვების გამო.

– ეს ჩემი უკანასკნელი გამოსვლაა თქვენს წინაშე, – ასე დაიწყო მან თავისი სიტყვა საქართველომ მეცნიერებათა აკადემიაში.

გამოსვლას გადასცემდა რესპუბლიკური ტელევიზია. მეორე დღეს ცენტრალურ კომიტეტში წამოვიდა უამრავი წერილი, გაისმოდა სატელეფონო ზარები: „ჯუმბერ პატიაშვილი არ უნდა წავიდეს!“ ჩვენში უყვართ მომნანიებლის ცოდვების პატიება. მაგრამ ჩვენი თბილისში ჩასვლის დღეს ერთი პირი სამთავრობო რეზიდენციიდან შემეკითხა:

– რა მოუვა ბატონ ჯუმბერს?

– რა უნდა მოუვიდეს?

– ხალხში ამბობენ, რომ ის უნდა წავიდეს.



„ხალხის ხმა“ მე გადავეცი ედუარდ შევარდნაძეს. მან ყურადღებით შემომხედა და არაფერი უთქვამს. ვფიქრობ, რომ ის თბილისისკენ მოფრინავდა მზა გადაწყვეტილებით – შესთავაზოს ჯუმბერს წასვლა. უბრალოდ გაუადვილა ამოცანა – უკარნახოდ და ბიძგის გარეშე გადადგეს. მასთან ერთად ამის შესახებ განაცხადეს პრემიერმა ზურაბ ჩხეიძემ (ის ამ პოსტზე სულ ორი თვე იმყოფებოდა) და „პრეზიდენტმა“ ოთარ ჩერქეზიამ, ასევე ახალგამომცხვარმა მინისტრთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეთა რიცხვიდან.

ეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მოხდა. რამდენ ხანსაც უნდა ვიცოცხლო, ვერ დავივიწყებ ამ ვულკანურ კრებას, რომელსაც არ აკლდა არც ვნებათა ღელვა, არც ბრალდებები, არც წყენა. ნომენკლატურის „ძველი მცხოვრებლები“ ამტკიცებენ, რომ ასეთ რამეს ადგილი ჰქონდა მხოლოდ 1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ. და 1956 წელს – XX ყრილობისა და თბილისის კავშირგაბმულობის სახლთან დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ.

ჯუმბერი დუმდა. მხოლოდ იშვიათად დგებოდა ფეხზე და გადიოდა დარბაზიდან. მას სწრაფად მიჰყვებოდნენ ხოლმე გაოგნებული თანაამხანაგები – ვითომ, რომ არ მოუვიდეს გულის შეტევაო.

აღშფოთოების ტალღა. გიგა ლორთქიფანიძე: „რატომ უნდა წავიდეს ჯუმბერ პატიაშვილი მკვლელის დამღით?!!!“

* * *

მანიფესტაციისა და შიმშილობის ადგილად არჩეული იქნა მთავრობის სახლის „ავანსცენა“ – აქ არის რამდენიმე უფრო ფართო კიბე. სიტყვებით გამოდიან ზურაბ ჭავჭავაძე და თამრიკო ჩხეიძე, შემდეგ, თითქოს რაღაცაში ეჭვი შეეპარათო, მათ მიკროფონი გადასცეს ულტრარადიკალ ირაკლი წერეთელს და მან, სოცფსიქოლოგების სიტყვებით რომ ვთქვათ, წამოაყენა „სეპარატიზმის ზელირებულების სოციალური იდეა“, ესე იგი – საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ. გაჩნდა ანტისაბჭოთა ლოზუნგები... ხალხი მოდიოდა მანიფესტაციის ადგილზე, სულ უფრო და უფრო მეტი იყვნენ ქალები.

ხელმძღვანელებმა დიალოგს თავი აარიდეს. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ბოლო სხდომაზე (ჩემთვის ბოლოზე) გურამ მგელაძე ყვიროდა: „უნდა დადგინდეს, დავასახელოთ იმათი სახელები, თუ ვინ გაუწია პატიაშვილს დათვური სამსახური, უარი ათქმევინეს წასულიყო მანიფესტანტებთან!!!“ თავად ჯუმბერი ამტკიცებს, რომ მას მიკროფონთან არ მიუშვებდნენ. მაგრამ რა უშლიდა მას, ვთქვათ, გამოეძებნა ტექნიკური საშუალება, რათა მიემართა ხალხისთვის – მოუხმოს გონებას, დაეყენებინა თავისი მიკროფონი, აეგო თავისი ტრიბუნა?

არის, როგორც მინიმუმი, ორი შეკითხვა, რომლებსაც აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი.

პირველი: ნუთუ ასეთი აუცილებელი იყო ეს „უკიდურესი საშუალება“ შექმნილ სიტუაციაში?

მეორე: სწორად იქნა ის გამოყენებული? თუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რატომ გამოიყენეს ასე (20 მოკლული, 200 დაჭრილი, ნაცემი, მოწამლული და ა.შ.)?

პირველ შეკითხვას ბევრი და სხვადასხვა ხალხი სხვადასხვაგვარად უპასუხებს. მათ შორის, ვისაც მიაჩნია, რომ ძალის გამოყენება არასაჭირო ზომა იყოო – გახლავთ გივი გუმბარიძე, იმ დროისთვის საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ედუარდ შევარდნაძის აზრი: მანიფესტანტების შემადგენლობას – ასაკობრივსა და სოციალურს, მათს რიცხოვნობას – უნდა აეძულებინა აქციის ინიციატორები, დაფიქრებულიყვნენ მისი მიზანშეწონილობის შესახებ.

ვარაუდობდნენ, რომ 9 აპრილს დილის 4 საათისთვის მთავრობის სახლის წინ დარჩებოდა 300-400 კაცი, ძირითადად მოშიმშილეები, რომელთა იქიდან გამოდევნება ძნელი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ღამისთვის ხალხი არ დაშლილა, ბრბო გაიზარდა, მოდიოდნენ ქალები და მოზარდები, „მთელი თბილისი“ საქართველოს ინტელექტუალური ელიტის სახით, ზოგი – ოჯახებით...

არა, ამ სიტუაციაში ძალის გამოყენება არ შეიძლებოდა. არ შეიძლებოდა ისე გამოყენება, როგორც გამოიყენეს. უმრავლესობის აზრით, ეს იყო ოპერაცია განადგურებაზე.

რითი დაიწყო შეტაკება? ვინ დაიწყო იგი? და დაღუპულთა შორის უმრავლესობა რატომ არიან ქალები?

ამის შესახებ ბევრი სხვადასხვა ვერსიაა. თუმცა, მთავარი ისაა, ხალხი დახოცეს სასანგრე ნიჩბებით, „ჩერემუხებით“, ხელყუმბარებით და, ღმერთმა იცის, კიდევ რით – მშვიდობიანი ხალხი. მოგვიანებით მწერალი ბორის ვასილიევი იტყვის: „მე ოკუპირებული ქალაქი ვიხილე“. მართლაც, ის იყო დაპყრობილი და ოკუპირებული რევანშის ძალებით. იქნებ, მე ვჩქარობ ამ დასკვნის გაკეთებას, მაგრამ დღეს ასეთი აზრი მტკიცეა...

9 აპრილის მოვლენებში, ბევრის აზრით, სალიერის როლი შეასრულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბორის ნიკოლსკიმ. პატიაშვილი, რასაკვირველია, არაა მოცარტი, მაგრამ ნიკოლსკიმ გაყიდა, „მოწამლა“ ის, არწმუნებდა მას გამოეყენებინა ძალა და არ დაეწყო დიალოგი დემონსტრანტებთან.

– ნიკოლსკის ადგილზე, – თქვა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ნელი გურგენიძემ, – პატიაშვილს რომ ჰყოლოდა უფრო ერთგული, გონიერი, მზრუნველი ადამიანი – ტრაგედია, შეიძლება, არც მომხდარიყო:

* * *

ამას მე ვწერ კუნცევოს საავადმყოფოს № 316 პალატაში 1989 წლის 1 მაისს. გარეთ ბრწყინვალე გაზაფხულია. „ყველაფერი ირგვლივ ცისფერი და მწვანე გახდა!“ – როგორც სტალინის დროინდელ ერთ-ერთ საინტერესო კინოკომედიაში მღეროდნენ. დღეს თბილისში არ იქნება ტრადიციული „მშრომელთა დემონსტრაცია“. ის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა გივი გუმბარიძემ ედუარდ შევარდნაძის რჩევით გააუქმა. თავი უნდა იმტვრიო კიდევ იმაზე, როგორ გადავიტანოთ 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. მეტად ძლიერი ძალები უპირისპირდებიან გივი გუმბარიძეს, რომ ეს დღეები თვითდინებაზე მიეშვა.

მე ვესწრებოდი ედუარდ შევარდნაძის ყველა შეხვედრას „სხვადასხვა ფენებთან“, საავიაციო ქარხნის გარდა, მეცნიერებათა აკადემიაში, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, უნივერსიტეტში და, ყველგან უხვად იყო წარმოდგენილი – მეორე მხარე. ასე რომ, წარმოდგენა იმის შესახებ, თუ „ვინ ვინაა“, ახლა მე მაქვს.

იური როსტი, „ლიტერატურნაია გაზეტას“ მიმომხილველი, ჩემი ძველი ნაცნობი ჯერ კიდევ „კომსომოლსკაია პრავდიდან“ და გარკვეულწილად მეგობარიც. თბილისში მას კარგად იცნობენ და ლებულობენ. შემოიფრინა, შემოირბინა, გადაიღო ფოტოზე – თანაც შესანიშნავად – მთელი საქართველო. შარშან ნოემბერში გადაიღო მოშიმშილეები რუსთაველის პროსპექტზე და გამოაქვეყნა „ლიტერატურნაია გაზეტაში“.

ამჯერადაც ის თბილისში გამოიძახეს მეგობრებმა. ის საღამოს ჩამოფრინდა თბილისში და მაშინვე რუსთაველის პროსპექტისკენ გაეშურა. ყველაფერი დაინახა, მოისმინა, იგრძნო – კეტიც ჩაარტყეს თავში, დააკავეს, აპარატი ჩაუმტვრიეს, ფირიც დაუშუქეს, მაგრამ უკვე გადაღებული ფოტოს გადამალვა მან შეძლო, და მეორე დღეს შეეცადა გადაეცა თავის გაზეთში.

10 აპრილს მოვიდა ჩვენთან ცენტრალურ კომიტეტში, „ვეჩეს“ აპარატით დაუკავშირდა მთავარ რედაქტორ ი.ვორონოვს და მის პირველ მოადგილეს იზიუმოვს, ჩვენზეც უთხრა, თანახმა არიან მათ გამოქვეყნებაზეო, მაგრამ რეპორტაჟმა „ტრაგიკული ღამე თბილისში“ დღის შუქი ვერ იხილა. მაშინ როსტმა იგი „მოლოდიოჟ გრუზიიში“ მიიტანა, სადაც სიამოვნებით დაბეჭდეს. თუმცა, გაზეთის ტირაჟი დააპატიმრეს, სამხედროებმა სტამბასა და რედაქციაში მოაწყვეს ჩხრეკა, ცეცხლს აფრქვევდა გენერალი ი.როდიონოვი, მაგრამ საქმე გაკეთებული იყო – გაზეთის 400 ეგზემპლარი მაინც გავიდა ქალაქში. გავრცელდა ხმები: რედაქტორი დააპატიმრეს, გაიმართება დემონსტრაცია მის მხარდასაჭერადო, და გაზეთები სასწრაფოდ დაურიგეს ხელისმომწერებს.

იურა, არსებითად, იყო ჩემი პირველი ინფორმატორი, პირველი „მაუწყებელი“ იმ ღამის მოვლენების შესახებ. მისი მონათხრობი ისტორია წარმოუდგენელი იყო – მანიფესტანტების გარშემორტყმა, ჟლეტა ბარებით, ქიმიის გამოყენება – მაგრამ ბოლო დღეებში ეს ყოველივე დადასტურდა.

ერთი სიტყვით, მან პროფესიული გმირობა ჩაიდინა.

ამ დღეებში ედუარდ შევარდნაძემ ჟურნალ „ტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში შეკითხვაზე „რომელი მისია იყო მისთვის ყველაზე რთული“, უპასუხა:

– თბილისში.

ის იყო მართალი და პირდაპირი, არ გაპრანჭულა. „შენმა დიდმა პოლიტიკურმა წონამ და ავტორიტეტმა ვერ დაიცვა შენი სამშობლო სისხლისღვრისგან“, – მისწერა მას ერთ-ერთმა უნივერსიტეტში შეხვედრის დროს.

უზარმაზარმა საერთაშორისო ავტორიტეტმაც კი, მსოფლიოს ავტორიტეტმაც ყველა ძლიერთა ამა ქვეყნისა შორის ვერ დაიცვა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი რისხვისგან, სკეფსისისგან, გაღიზიანებისგან, ვაი რომ ზიზღისგანაც თავისი თანამემამულეებისა.

თავისი ყველაზე ძნელი მისია – თბილისში – მან ბრწყინვალედ შეასრულა. ერთ კვირაში გაიყვანა ქალაქიდან ჯარები, გააუქმა კომენდანტის საათი. ეს მისი რეკორდული შედეგია. მიაღწია ქალაქის ცხოვრების ნორმალიზაციას.

ედუარდ შევარდნაძე თბილისში ჩამოვიდა, როგორც ხელმძღვანელობის ემისარი, რომელმაც ნება მისცა ადგილობრივ ბოსებს გამოეყენებინათ ჯარები. ის იძულებული იყო გამოსულიყო ადვოკატის როლში გარდაქმნისა, რომელიც აქ, მომხდარის გამო, აბსოლუტურად არაპოპულარულია...

და რაც მთავარია, ყველგან, სადაც იყო: ნებისმიერ აუდიტორიაში – იქნებოდა ეს მეცნიერებათა აკადემიაში, უნივერსიტეტსა თუ კინოსტუდიაში – ის რჩებოდა იმად, რაც არის – დარწმუნებული და მტკიცე პოლემისტი, რომელიც არ გაურბის არც ერთ რთულ საკითხს და შეკითხვას, თუნდაც ისინი მას შეხებოდეს.

მთავარი დასკვნა მან სწორი გააკეთა: 9 აპრილის კრიზისი – ეს არის ღიად წარმოჩენილი დაპირისპირება საზოგადოებაში წამოჭრილ სიტუაციასა და მისწრაფებას შორის – გადაწყვიტონ მისი სირთულეები ძველი მეთოდებით.

19 აპრილს, უკვე მოსკოვში, მე ვუთხარი ედუარდ შევარდნაძეს, რომ მივდივარ საავადმყოფოში კვლავ სამკურნალოდ.

–შენ იცი, – მითხრა მან. – სწორია. მაგრამ ვფიქრობ, თბილისში რომ არ წამოსულიყავი, შენ გაცილებით გაგიჭირდებოდა.

ამაშიც მართალია ის.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**ჭადრაკი**

## მარგველაშვილს მესამე ადგილი ერგო



**კალიფორნიაში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველი დიდოსტატი გიორგი მარგველაშვილიც მონაწილეობდა.** ჩვენებურმა ცხრა შესაძლებლიდან 6 ქულა მოაგროვა და 52 მოასპარეზეს შორის მე-3 ადგილი დაიკავა. 7,5 ქულით პირველ ადგილზე ჩინელი ჩაო ლი გავიდა. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა მასპინძელი გრიგორი კაიდანოვი, რომელსაც მეორე ადგილი ერგო.

ნატა ნიბლაძე

## პირველად – პირველი

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ვეტერან მოჭადრაკე ქალთა საქართველოს ჩემპიონატი.** წრიული სისტემით გამართული შეჯიბრება მოიგო საერთაშორისო არბიტრმა ლელა თანდაშვილმა, რომელიც დიდი ხანია ბრძენთა თამაშს ემსახურება, ქვეყნის ჩემპიონი კი პირველად გახდა. ამ წარმატებით მან ვეტერანთა ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების უფლება მოიპოვა. კონტინენტის პირველობას 10-22 მარტს ბულგარული პროვდივი უმასპინძლებს.



ვაჟა ნოსირელი

**სუმო**

## ტოჩინოშინი – წინ, გაგამარუ – უკან



**პროფესიონალ სუმოისტთა ახალი წლის ბაშო უიღბლო გამოდგა თეიმურაზ ჯუღელისთვის (გაგამარუ): ასპარეზობის ყველაზე მძიმეწონოსანმა (212 კგ) ათლეტმა თერთმეტ შეხვედრაში რვა ორთაბრძოლა დათმო და მხოლოდ სამი მოიგო.** მე-4 მაეგაშირას რეიტინგში უკუსვლა ელის. სამაგიეროდ, წარმატებით გადალახა ყველა დაბრკოლება ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი) – მან 11-დან 8 მეტოქეს სძლია და დაწინაურება გარანტირებული აქვს.

იანვრის ბაშოს დაუმარცხებლად იოკოძუნა ჰარუმაფუჯი ლიდერობს. ერთი წაგება აქვს ჰაკუჰოს (იოკოძუნა). 11-დან მხოლოდ ორი პაექრობა დათმეს კისენოსატომ (ოძეკი) და ტაკაიასუმ (მე-7 მაეგაშირა).

ასპარეზობა ოთხ დღეში დამთავრდება.

ლაშა დიდია

**ფიგურული სრიალი**

## დებიუტანტები – ფინალში



**თბილისელი მოციგურავე ოთარ ჯაფარიძე, რომელიც ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს, წლების განმავლობაში საქართველოს სახელით გამოდიოდა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებსა თუ ოლიმპიურ თამაშებში. ბოლოს მისი მეწყვილე ამერიკელი ელისონ რიდი იყო, მაგრამ 2011 წელს მოცეკვავეთა დუეტი დაიშალა და ოთარმა აქტიური სპორტისთვის თავის დანებება გადაწყვიტა.** საბედნიეროდ, მწვრთნელმა ევგენი პლატოვმა გადააფიქრებინა და რუს ანგელინა ტელეგინასთან ერთად კვლავ გავიდა ყინულზე. შარშან ორ სარეიტინგო ტურნირში მოსინჯა ძალები და ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის უფლებაც მოიპოვა, კონტინენტის პირველობას კი ხორვატეთის დედაქალაქი ზაგრები მასპინძლობს. ასპარეზობის პირველ დღეს მოკლე პროგრამით ჯაფარიძემ და ტელეგინამ 44.94 ქულა მოაგროვეს და 26 მონაწილეს შორის მე-18 ადგილზე გავიდნენ, რითაც 25 იანვარს ფინალში ასპარეზობის უფლებაც დაიმსახურეს.

საგულისხმოა, რომ ბულგარეთის სახელით გამოვიდა შეჯიბრებაზე გიორგი კენჭაძე სარა ქოვარდთან ერთად, მაგრამ ფინალურ ეტაპზე ვერ გააღწია. გიორგის ტყუპისცალი – ლერი კენჭაძე ელიზავეტა მაკაროვასთან ერთად სპორტულ წყვილებში ასპარეზობს.

დღეს დილით ზაგრების ყინულზე ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი ელენე გედევანიშვილი მოსინჯავს თავის ახალ მოკლე პროგრამას, საღამოს კი მოცეკვავე წყვილებში ჩემპიონი და პრიზიორები გამოვლინდება.

ლექსო ცინცაძე

**დარბაზბურთი**

## საქართველომ ევროშესარჩევში მალტას 9:0 მოუგო

**საქართველოს ნაკრებმა დარბაზბურთში 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველი შეხვედრა გამართა: ავთანდილ ასათიანის გუნდმა მინიტურნირის მასპინძელ მალტას 9:0 სძლია.**

ჩვენი ნაკრების მომდევნო მეტოქე მოლდოვაა. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ნაკრებმა მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა, ევროჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურისთვის ჩეხეთის, ბელარუსის და ჰოლანდიის ნაკრებებს დაუპირისპირდება. შესარჩევი ეტაპის თამაშები 27-30 მარტს ჰოლანდიაში გაიმართება.

**მალტა 0:9 საქართველო**

**გოლები:** 0:1 კახა მაისაია (7), 0:2 ლევან კობაიძე (13), 0:3 ირაკლი შელეგია (18), 0:4 დავით ბობოხიძე (19), 0:5 ლევან კობაიძე (30), 0:6 გიორგი სოზაშვილი (32), 0:7 თემურ ჯაფარიძე (36), 0:8 ზურაბ ლუკავა (38), 0:9 ზურაბ ლუკავა (39).






**საქართველო:** ალექსანდრე ჯამბურია (მეკარე, კაპ.), მურთაზ კაკაბაძე, ლევან კობაიძე, თემურ ჯაფარიძე, დავით ბობოხიძე; ლევან გაბუნია (მეკარე), შოთა ჭანუყვაძე, ირაკლი შელეგია, გიორგი ალთუნაშვილი, ავთანდილ ასათიანი, კახა მაისაია, გიორგი სოზაშვილი, ზურაბ ლუკავა, არჩილ სეფისკვერაძე.

**მოთამაშე-მწვრთნელი:** ავთანდილ ასათიანი.

**გაფრთხილება:** გიორგი სოზაშვილი.

**მსაჯები:** სრეტენ ვასიჩი (სერბეთი), მარკ ბირკეტი (ინგლისი), საშა ტომიჩი (ხორვატეთი).

გიორგი შოთაძე

**რაგბი**

## 2 თებერვალს – „ეიზელზე“



**წლეულს ორი თებერვლიდან სტარტს აიღებს მორაგბეთა ევროპის ერთა თასი, რომელიც 2015 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიცაა. „ბორჯღალოსნები“ სასტარტო შეხვედრას ბრიუსელში „ეიზელის“ სტადიონზე ბელგიის ნაკრებთან გამართავენ.** მილტონ ჰეიგის ხელმძღვანელობით ჩვენი გუნდი ორშაბათიდან საფრანგეთში მოემზადება. ამ პაექრობისთვის მწვრთნელებმა 29-კაციანი შემადგენლობა დაასახელეს. „ეიზელზე“ მოსახვედრად არაფერს დაიშურებენ დავით ქუბრიაშვილი, ლევან ჩილაჩავა, ზურაბ ჟვანია, დავით ხინჩაგიშვილი, მიხეილ ნარიაშვილი, რეზო ბელქანია, შალვა მამუკაშვილი, გიორგი ჩხაიძე, ვახტანგ მაისურაძე, კონსტანტინე მიქაუტაძე, ლაშა ლომიძე, მამუკა გორგოძე, ვიქტორ კოლელიშვილი, დიმიტრი ბასილაია, შალვა სუთიაშვილი, ბექა ბიწაძე, გიორგი ბრეგაძე, ვაჟა ხუციშვილი, მერაბ კვირიკაშვილი, ლაშა ხმალაძე, მერაბ შარიქაძე, დავით კაჭარავა, თედო ზიბზიბაძე, ირაკლი მაჩხანელი, ალექსანდრე თოდუა, თამაზ მჭედლიძე, გიორგი ფრუიძე, ბექა წიკლაური და ირაკლი ყიასაშვილი.

გივი გაგუა

**ჩოგბურთი**

## ამას არავინ ელოდა

**მას შემდეგ, რაც ავსტრალიის ღია პირველობას ტრავმის გამო ამ ტურნირის ხუთგზის ტრიუმფატორი სერენა უილიამსი გამოეთიშა, უპირველეს ფავორიტად მარია შარაპოვა მიიჩნეოდა, თუმცა ეს პროგნოზიც დაიმსხვრა...**



რუსი ლამაზმანის ცოდვა როლან გაროსის ყოფილმა ჩემპიონმა ნა ლიმ დაიდო, რომელიც საკმაოდ იოლად გაუსწორდა მრისხანე მეტოქეს – 6:2, 6:2.

ფინალში ჩინელი მსოფლიოს პირველ ჩოგანს ვიქტორია აზარენკას შეხვდება, ვინც ამერიკელი ვუნდერკინდი ლაურა სტეფენსი იმსხვერპლა – 6:1, 6:1.

ვიტალი ჯაფარიძე



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სულთათანა

# ნური ვერძაძე

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნური ვერძაძე**.

დაიბადა 1942 წლის 5 მარტს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ხელვაჩაურში. საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ (1958) ერთხანს იმუშავა აჭარის წყალთა მეურნეობის სამმართველოში. 1959 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მაგრამ ინჟინრის პროფესია მის მოწოდებად არ ჩათვალა და 1960 წელს შევიდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. მეორე კურსიდან გაცვლითი პროგრამით მიავლინეს კიევის უნივერსიტეტში უკრაინული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1967 წელს ჩაირიცხა კიევის უნივერსიტეტის ასპირანტურაში. წარუშლელი კვალი დატოვა თბილისის უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა ახალგაზრდა სპეციალისტისა და მკვლევარის ცნობიერებაზე. იგი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა თბილისის უნივერსიტეტის ტრადიციების ერთგული. როგორც მეცნიერი და მასწავლებელი მისთვის მისაბაძი იყო აკად. ვარლამ თოფურია, პროფ. ივ. ქავთარაძე, პროფ. ივ. გიგინეიშვილი... ეამაყებოდა, რომ იყო ამ უნივერსიტეტის აღზრდილი.

1973 წელს ნური ვერძაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1972 წლიდან ნ. ვერძაძე მუშაობას იწყებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც სხვადასხვა დროს იყო:

— ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის უფროსი მასწავლებელი (1971-1975 წწ);

— პრორექტორი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში (1975-1981 წწ);

— პრორექტორი საღამოსა და დაუსწრებელი მუშაობის დარგში (1981-1986 წწ);

— პრორექტორი სასწავლო დარგში (1986-1996 წწ);

— ზოგადი ფილოლოგიის კათედრის გამგე (1991-1996);

— რექტორი (1996-2004 წწ);

— 1995 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1996 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

ფართოა ნ. ვერძაძის სამეცნიერო ინტერესები: ქართულ-რუსულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობები, თარგმანის თეორია, ზოგადი ენათმეცნიერება, საქართველოს უახლესი ისტორიის პრობლემები. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის 6 წიგნი.



წლების განმავლობაში ნ. ვერძაძე კითხულობდა „ზოგადი ენათმეცნიერების“, „ენათმეცნიერების შესავლის“, „ქართული ენის სტილისტიკის“, „ახალი ქართული ენის“ კურსებს. მისი ლექციები გამოირჩეოდა აკადემიურობით, თავად ლექტორი კი იყო მომთხოვნი და ახალგაზრდობის მოყვარული. მისი რეკომენდაციითა და ხელმძღვანელობით მეცნიერებაში გაიკვლია გზა არაერთმა ახალგაზრდამ, რომლებიც, დღეს უკვე პროფესორები და წარმატებული მკვლევარები, მოღვაწეობენ ბათუმის უნივერსიტეტსა და სხვა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში.

1996-2001 წლებში ნ. ვერძაძე აირჩიეს აჭარის უზენაესი საბჭოდ დეპუტატად, იყო უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. 2001 წელს აირჩიეს აჭარის ა/რ პარლამენტის დეპუტატად, 1997 წლიდან მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კრების თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, 1998 წლიდან იყო აჭარის უმაღლესი სასაწავლებლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე; 2001 წელს აირჩიეს ევროპის საბჭოს რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების თვითმმართველობის კონგრესის წევრად.

მისი ინიციატივითა და ძალისხმევით ბათუმის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა „მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიეროკვლევითი ცენტრი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა 2000-2004 წლებში. „ცენტრის“ სამეცნიერო პრიორიტეტად გამოიკვეთა ისტორიული სამხრეთ საქართველოს („ჭოროხის ქვეყნების“) პრობლემების კვლევა. მისი იდეალი იყო უახლოესი ისტორიიდან ილია ჭავჭავაძე და მემედ აბაშიძე. თავის ნაწერებში განსაკუთრებით ცდილობდა მათი ღვაწლის წარმოჩენას აჭარისა და სრულიად საქართველოს წინაშე.

ნ. ვერძაძის მოღვაწეობაში ცალკე უნდა აღინიშნოს თანამოაზრეებთან ერთად „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის“ ჩამოყალიბება. იგი 1991-1996 წლებში, დაარსებიდან რეორგანიზაციამდე, დამოუკიდებელ უნივერსიტეტსაც ხელმძღვანელობდა. მის მუშაობაში ჩააბა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, მოიწვია ახალგაზრდა სპეციალისტები, საფუძველი ჩაუყარა ბათუმში ახალ სპეციალობებს...

ნ. ვერძაძის, როგორც განათლებისა და მეცნიერების ორგანიზატორის ნიჭი განსაკუთრებით გამოვლინდა უნივერსიტეტის რექტორად მოღვაწეობის პერიოდში: შეიქმნა ახალი კათედრები და ფაკულტეტები, ბათუმში საფუძველი ჩაეყარა სამართალმცოდნეობის, ეკონომიკის, სამედიცინო, თურქული ფილოლოგიის, ჟურნალისტიკის ფაკულტეტებსა და სპეციალობებს, შეივსო და გამდიდრდა უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, შეიქმნა უნივერსიტეტის გამომცემლობა, ჩამოყალიბდა სტამბა, მისი დიდი ძალისხმევით შეკეთდა (ფაქტიურად ხელახლა აშენდა) უნივერსიტეტის ზღვისპირა (პირველი) კორპუსი, განახლდა მაღლივი კორპუსი, აშენდა ახალი ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი, უნივერსიტეტის კაბინეტები და აუდიტორიები აღიჭურვა ახალი ინვენტარით...

მისი უნივერსიტეტის პრორექტორად და განსაკუთრებით რექტორად მუშაობის პერიოდში დიდი ყურადღება ექცეოდა ეროვნული დისციპლინების სწავლებას. მისი უშუალო ინიციატივით უნივერსიტეტში მოქმედ ყველა სასწავლო გეგმაში შეტანილ იქნა „ქართული ენის პრაქტიკული კურსი“, „ქართული ლიტერატურის ისტორიის ზოგადი კურსი“ და „საქართველოს ისტორია“.

ნური ვერძაძე იყო საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სხვა არაერთი დარგობრივი აკადემიის წევრი.

იგი იყო კარგი მეგობარი, უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომელი საკუთარი ოჯახის წევრად მიაჩნდა, ფიქრობდა და ზრუნავდა მათზე, ახარებდა ყველას წინსვლა...

მოღვაწეობის წლებში იყო წარმატებები და სიხარული, იყო გულისტკივილიც, მაგრამ ბატონი ნური ყოველთვის პოულობდა საკუთარ თავში ძალას და რჩებოდა უნივერსიტეტისა და საუნივერსიტეტო საქმის ერთგულად. სიცოცხლის ბოლომდე მასთან ყოველი შეხვედრა და საუბარი სრულდებოდა უნივერსიტეტის პრობლემებზე მსჯელობით, „მოუარეთ უნივერსიტეტს!“, —გვარიგებდა დღემუდამ...

იგი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ნური ვერძაძის, როგორც უმაღლესი სკოლის ორგანიზატორისა და მოღვაწის სახელი კუთვნილ ადგილს დაიჭერს უნივერსიტეტისა და საქართველოს განათლების ისტორიაში.

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ინფორმაცია

## ერთ კვირაში ოპერისა და ბალეტის თეატრს ახალი დირექტორი ეყოლება

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და**



**ბალეტის თეატრის დირექტორის თანამდებობიდან დავით საყვარელიძის გადადგომასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.**

**როგორც გურამ ოდიშარიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, დავით საყვარელიძე ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორად 9 წელიწადი მუშაობდა. მან ნაყოფიერი წლები გაატარა თეატრში, თუმცა ყველაფერი მოითხოვს განახლებას და დღის წესრიგში დადგა თეატრის დირექტორის შეცვლაც.**

**გურამ ოდიშარიას განცხადებით, მას დავით საყვარელიძესთან ხშირად ჰქონდა საუბრები და მივიდნენ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ დავით საყვარელიძე დატოვებდა დირექტორის თანამდებობას.**

**მინისტრის განცხადებით, საყვარელიძეს სამინისტრომ შესთავაზა ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა, თუმცა საყვარელიძემ აღნიშნულ თანამდებობაზე უარი განაცხადა.**

**მისივე თქმით, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის დირექტორის ვინაობა მომავალი კვირის სამშაბათს გახდება ცნობილი. გურამ ოდიშარიას განცხადებით, დავით საყვარელიძის ადგილზე არაერთი ადამიანი განიხილება. მინისტრის ცნობით, ერთ-ერთი კანდიდატია დირიჟორი გიორგი ჟორდანია.**

**ინტერპრესი**

ფარმაცია

# წამალი – მშველელი, განმკურნავი...



**იმის დაანგარიშებას, თუ რაში ხარჯავს საშუალო ოთხკაციანი ოჯახი ყოველთვიურ შემოსავალს, არც სტატისტიკის ეროვნული სამსახური სჭირდება, არც ვინმეს კარნახი, რადგან საკუთარი ჯიბის ამბავი ყველამ უკეთ იცის. ჰოდა, სწორედ ამ საკუთარ ჯიბეზე დაკვირვებით თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ბოლო წლებში საქართველოში ოჯახები მედიკამენტების შეძენაზე საშუალოდ, ყოველთვიურად შემოსავლის დაახლოებით 35 პროცენტს ხარჯავენ. ნურც ის გამოგვრჩება მხედველობიდან, რომ თუკი ოჯახის რომელიმე წევრი სერიოზულ მედიკამენტოზურ მკურნალობას საჭიროებს (სტაციონალურზე ლაპარაკი საერთოდ არ არის!), ეს თანხა თავისუფლად შეიძლება გაორმაგდეს კიდეც.**

სხვადასხვა ფარმაცევტული კომპანიის აფთიაქთა ქსელში საცალო გაყიდვაში წამლების ფასების ცვალებადობის დინამიკას თუ განვიხილავთ, დავინახავთ, რომ 2009 წლიდან მოყოლებული წამლების გარკვეულ ჯგუფებზე ფასი შემცირდა, რაც მეტ-ნაკლებად საგრძნობი შარშან იყო. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კლება ყველაზე დაბალი ღირებულების მქონე მედიკამენტთა დასახელების მესამედზე ნაკლებს შეეხო, ხოლო დანარჩენები, მით უფრო ძვირიანები და მეტად ეფექტიანები, პირიქით, გაძვირდა კიდეც.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს სააფთიაქო ქსელებში წამლების ნაწილის გაიაფება, ამ უაღრესად მონოპოლიზებულ ბაზარზე, სადაც მანამდე სამი მსხვილი კომპანია — „ავერსი“, „ჯიპიესი“ და „პეესპე“ მოქმედებდნენ, ნაწილობრივ კიდევ ერთი მსხვილი ფარმაცევტული ფირმის „ფარმადეპოს“ შემოსვლამ განაპირობა, სადაც მომხმარებლებს მედიკამენტებს კონკურენტებთან შედარებით თითქმის მეოთხედით დაბალ ფასად სთავაზობენ. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ სამამულო ფარმაცევტული ბაზარი, კონკრეტულად, ასეა გადანაწილებული... **„ავერსსა“ და „პეესპეს“, შესაბამისად, 24 და 23 პროცენტი უკავიათ, „ფარმადეპოს“ — 12 პროცენტი, „ჯიპიესს“ — 11 პროცენტი. არიან კიდევ მცირე წილების მფლობელები „გეა“, „მედისნერვი“ და „ტონუსი“, 20 პროცენტი სხვადასხვა არაქსელურ აფთიაქზე მოდის. მათ შორის ყველაზე მეტი აფთიაქი აქვთ „ავერსსა“ და „პეესპეს“, არაქსელური აფთიაქი 1850-ზე მეტია. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავად ფარმაცევტული ფირმების წარმომადგენლები წამლებზე ფასების დაკლებას არა გამძაფრებული კონკურენციით, არამედ კანონმდებლობაში ცვლილებით ხსნიან, რომლის თანახმად აფთიაქებში წამლების გაყიდვა ნებისმიერი შეფუთვით გახდა ნებადართული, რამაც ძვირიანი წამლების პატენტების შესყიდვის შესაძლებლობა მისცა, რომლებიც ორიგინალებზე გაცილებით იაფი ღირს.**

ცალკე საკითხია ის, რომ ფარმაცევტულ კომპანიებთან არაერთი სამკურნალო დაწესებულება, მათი სპეციალისტები პირდაპირ გარიგებულნი იყვნენ ამა თუ იმ კონკრეტული პრეპარატის დანიშვნაზე, რაშიც ექიმებს თავის წილ „მჭადს უტეხავდნენ“, თუმცა კი ბოლო დროს ამ მიმართულებით კონტროლი სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სახელმწიფო სააგენტომ საგრძნობლად გაამკაცრა. რაც შეეხება ზოგიერთი წამლის გაიაფებას, მით უმეტეს, იაფიან სადაზღვევო პაკეტებში შეღავათიანი ფასით შესასყიდ პრეპარატთა ნუსხას, ის იმდენად მწირია და არანაირი შეღავათის მიმცემი, რომ მასზე ლაპარაკი სასაცილოც კია, რადგან ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ზემოაღნიშნული სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სახელმწიფო სამსახური მედიკამენტების ხარისხზე კონტროლის შესახებ საზოგადოებისთვის სრულიად მიუწვდომელია, ამდენად, კაცმა არ იცის ხეირიანად, თუ როგორი ეფექტი შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ ახალი პრეპარატის მოხმარებას. ხაზგასმით აღვნიშნავთ იმასაც, რომ სამედიცინო პრეპარატებზე კონტროლი არც სხვა ქვეყნებშია გამჭვირვალე, მაგრამ ეს პროცესი მთავრობის მეთვალყურეობით მიმდინარეობს, რომელიც ამით მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს.

საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის მონოპოლიზების თვალნათლივ დამადასტურებელია ის გარემოება, რომ, მართალია, ადგილობრივ ბაზარზე ძირითადად იმპორტული პრეპარატები იყიდება, მაგრამ უკვე კარგა ხანია, რაც მრავალი მათგანის სამამულო ანალოგი გამოდის. ამ მხრივ უდავო ლიდერები, უფრო სწორად კი აბსოლუტური მონოპოლისტები, კომპანიები „ავერსი“ და GMP-ეა, რომლებიც ფარმაციის სექტორის ლომის წილს, 90 პროცენტს ფლობენ. საგულისხმოა ისიც, რომ **საქართველოში სამამულო წარმოების წამლების გაყიდვა წლიდან წლამდე დაახლოებით 40 პროცენტით იზრდება, რასაც, უწინარესად, მათი უცხოურ ანალოგებთან შედარებით დაბალი ფასი, ასევე სხვადასხვა მარკეტინგული აქცია განაპირობებს.** ადგილობრივი მწარმოებლების მიერ გამოშვებული სამედიცინო პრეპარატების ნახევარზე მეტი, დაახლოებით 60 პროცენტი, საზღვარგარეთ, ძირითადად კი სომხეთში, აზერბაიჯანსა და უზბეკეთში იყიდება.

ქვეყნის ფარმაცევტულ ბაზარზე არცთუ სახარბიელო მდგომარეობის გადასაჭრელად, ექსპერტთა აზრით, აუცილებელია მისი დომინანტი კომპანიების მოღვაწეობის შესწავლა, რასაც, ალბათ, ახლო მომავალში შესაქმნელი სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური განახორციელებს. თავისი წილი საქმე აუცილებლად სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსაც ექნება გასაკეთებელი, რომლის საფუძვლიან გადახალისებას ახლო მომავალში უნდა ველოდოთ.

**ოთარ ტურაბელიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ჩვენი კარაბადინი

# ვმკურნალობთ ღვიძლს

**ვარჯიშის შესრულება შეიძლება ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ვითარებაში**

**თანამედროვე ადამიანის ღვიძლის დატვირთვა გაცილებით დიდია, ვიდრე ეს რაღაც 50-70 წლის წინათ იყო. ამაში დამნაშავეა გაუარესებული ეკოლოგიაც, წამლებიც, ალკოჰოლიც და ცხიმიანი საკვებიც. ამ ორგანოს მხარდაჭერა შეგვიძლია მარტივი ვარჯიშებით ხელის თითებისთვის.**

### ორი კაუჭი

**იაპონელი ექიმის, დოქტორ ცუცუმი იოსიროს აზრით, ღვიძლთან რეფლექტურად არის დაკავშირებული ხელის თითები, მისი მუშაობის მოწესრიგე-**



**ბაში კი დაგვეხმარება ვარჯიშები, რომლებიც დაამუშავეს ტრადიციული ბუდისტური მეთოდიკების საფუძველზე. მისი შესრულება შეიძლება ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ვითარებაში.**

**დასაწყისისთვის – თავისებური ტესტი.** ის გვიჩვენებს, თუ როგორ მდგომარეობაში გაქვთ ღვიძლი. გაშალეთ ხელების ყველა თითი. ერთ წამით დაძაბეთ ისინი. შემდეგ კაუჭებად მოხარეთ მხოლოდ საჩვენებელი თითები. ღვიძლის ნორმალური ფუნქციონირების დროს საჩვენებელი თითი ილუნება სწრაფად და იოლად. თუ ის მოიხარა მხოლოდ სხვა თითებთან ერთად ან მოიხარა არასაკმარისად, ეს მეტყველებს იმის შესახებ, რომ ღვიძლის ფუნქცია დარღვეულია.

**შესრულების ტექნიკა.** ხელების საჩვენებელი თითები მოხარეთ კაუჭებად და გამოსდეთ ერთმანეთს მკერდის წინ. ჩაისუნთქეთ ცხვირით და გაჭიმეთ თითები სხვადასხვა მხარეს ერთმანეთს მოუშორებლად. შემდეგი ამოისუნთქვის დროს შეასუსტეთ დაძაბულობა.

### წყლის უცნაურობანი

**ეს ვარჯიში მაჩვენებელია ღვიძლის დაავადებების, მუცლის შებერილობისა და კუჭნაწლავთა ქვალის, ორგანიზმში სითხის სიჭარბის – ფილტვებსა და კუჭში ლორწოს დიდი ოდენობის დროს. სამკურნალო უცნაურობანი, ანუ „თითების იოგა“ – მარტივი გამაჯანსაღებელი მეთოდიკაა, რომელიც გაჩნდა რამდენიმე საუკუნის წინათ ინდოეთში, საიდანაც ის გადაიღეს მრავალი ბუდისტური ქვეყნის მკურნალებმა. ვარჯიში ხელის მტევნებისთვის არ ითხოვს ძალისხმევას, მთავარია, გქონდეს ყურადღების კონცენტრაციის უნარი.**

**შესრულების ტექნიკა.** დაჯექით მოხერხებულად. უმჯობესია სახით აღმოსავლეთისკენ ან ჩრდილოეთისკან. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რასაც აკეთებთ. სამუშაო ხომ მიმდინარეობს ენერგეტიკულ ნაკადებთან. მარჯვენა ხელის ნეკს ვლუნავთ ცერის ძირისკენ. მარჯვენა ცერით ვაწვებით ნეკს. მარცხენა ხელს ვდებთ მარჯვენა ხელისგულის ქვეშ და ვუჭერთ მარჯვენა ხელს. ამ დროს მარცხენა ხელის ცერი უნდა განთავსდეს მარჯვენა ხელის ცერზე. მარცხენა ხელის თითი გაჭიმული რჩება. უცნაურობათა შესრულების დროს ხელები არ უნდა განიცდიდნენ დაძაბულობას. უცნაურობა სრულდება 5-დან 15 წუთამდე, ვიმეორებთ 3-4-ჯერ დღეში.

# ქიშმიში უფრო სასარგებლოა

**ბევრი რამ წამიკითხავს ჭერმის ჩირისა და შავი ქლიავის სარგებლობის შესახებ. მაგრამ რატომღაც არაფერს წერენ ქიშმიშის შესახებ. მე ის ძალიან მიყვარს. ნუთუ მასში არაფერია კარგი?**

**გიორგი თევზაძე, ონი**



**გვიპასუხებს ექიმი-დიეტოლოგი ქეთი ბადრიძე:**

– რატომაც არა? ყურძნის ჩირი მეტად მდიდარია გულისთვის სასარგებლო კალიუმით, ამიტომ მას ურჩევენ თავიანთ პაციენტებს კარდიოლოგები. მაგნიუმის შემცველელობის გამო ქიშმიშს პატივს სცემენ ნევროპათოლოგებიც, რომლებიც მას უწერენ ნერვიულად აღგზნებად ადამიანებს. ორთოპედებიც ასევე გვირჩევენ ვჭამოთ ჩირი, ვინაიდან ის შეიცავს ბორის დიდ ოდენობას, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ოსტეოპოროზის განვითარებას. ქიშმიშში ასევე ბევრია მანგანუმი, რომელიც აუცილებელია ფარისებრი ჯირკვლისთვის. და ამ ტკბილ კენკრას იყენებენ ხველებისა და ბრონქიტის მკურნალობის დროს. ამისთვის ქიშმიშს ასველებენ წყალში 45 წუთის განმავლობაში და მიირთმევენ რძესთან ერთად. აი რამდენი სასარგებლო თვისება აქვს ამ ტკბილეულს! მიირთვით და იდღეგრძელეთ!

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ანეკდოტები

**– მამი,** მეშინია, რომ არავინ არ მითხოვს.
– ნუ გეშინია, შვილო, გამოართმევ დედაშენს ჯადოს, ვინმეს გაუკეთებ და ეგრევე მოჩანგლავ.
– კი, მაგრამ აქვს დედაჩემს ეს ჯადო?
– უნდა ჰქონდეს, რადგან, რაც მაგას ვუყურებ, სხვა მიზეზს, რამაც მასზე დაქორწინება მაიძულა, ვერ ვპოულობ.

* * *

**– შვილიშვილს** ვიოლინო ვუყიდე, რათა მასში მუსიკისადმი ინტერესი გამეღვიძებინა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.
– მეც ზუსტად იგივე დამემართა, როდესაც სიდედრს ჩემოდანი ვაჩუქე.



**– რაღაც** ამ ბოლო დროს ძალიან ნერვიულობ, რა მოხდა?
– ცუდი წინათგრძნობა მაქვს.
– რაშია საქმე?
– ჩემი ყოფილი ცოლი მესამედ განქორწინდა და თავის პირველ ქმარს მისთხოვდა. მე კი მისი მეორე ქმარი ვიყავი...

* * *

**მაღაზიებში** იყიდება ახალი მოწყობილობა, რომელიც 95 პროცენტით ამცირებს ხმაურს მანქანაში. ეს არის ალიკაპი ცოლისთვის.

* * *

**– გუშინ** სად იყავი, ივან?
– პეტკასთან ვიყავი სტუმრად, მთელი ღამე ჭადრაკს ვთამაშობდით.
– მერე ვინ ვის?
– არავინ არავის! ჭადრაკს ვთამაშობდით.

მოკვეთილი

## დამბეზღებელი დარჩება კენტად!

*შაჰის და სულთნის კარზე მავალი*
*მედროვე ადრეც იყო მრავალი,*
*დღესაც გამოჩნდა იმავ ვნებებით*
*ევროსაბჭოში დამბეზღებელი.*

*ჰოდა, სულმდაბალ ნაპრეზიდენტალს*
*სამშობლოს გზები გადაეკეტა.*
*მოკვეთილია,*
*დარჩება კენტად,*
*ფრჩხილების მკვნეტად, ჰალსტუხის მკვნეტად!*

**ალექსანდრე შენგელია**

ჩვენი პრესდაიჯესტი

## ჟურნალ-გაზეთებიდან



### თუ არ მოხდა ცვლილებები ეკონომიკაში, კატასტროფა გვემუქრება

**ვანო** მერაბიშვილის მიერ „რუსთავი 2“-ის ეთერში გაცხადებულმა შეფასებებმა, რაც ქართულ ეკონომიკას შეეხებოდა, ნამდვილად დაზაფრა საზოგადოება. ნამდვილად ასეთი საგანგაშო მდგომარეობაა ქართულ აქამდე მდგრად ეკონომიკაში?

– რა თქმა უნდა, არა, – ამბობს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორხელიძე, – კრიზისი ნამდვილად არ არის მოსალოდნელი, მაგრამ თუ არ მოხდა გარკვეული ცვლილებები, ასეთი რამ ნამდვილად გვემუქრება. ეს პრობლემა არ არის ახალი და ყველაფერი წინა ხელისუფლების შედეგია, მაგრამ, როგრც ვთქვი, აუცილებელია ხელშესახები ცვლილებები, ამისთვის, საჭიროა მაქსიმუმ 2-3 თვე და ყველა შედეგი უნდა წარმოჩინდეს, თორემ ბატონი ვანოს ნათქვამი, შეიძლება ნამდვილად ასრულდეს.

**„ალია“**

### ირაკლის „პატარა შეცდომა“

**ბიძინა ივანიშვილმა** დავოსში ალასანიას ვიცე-პრემიერობიდან გადაყენების მიზეზი განმარტა. მისი აზრით, ირაკლი ალასანიას მოუვიდა შეცდომა, როდესაც საპრეზიდენტო კანდიდატურის განხილვა თავის პარტიასთან დაიწყო. ამ გუნდიდან ვიღაცამ ეს ინფორმაცია გამოიტანა და სხვაგვარად გავრცელდა რეგიონებში.

ივანიშვილის განცხადებით, ჯერ არ უფიქრია, ვინ იქნება ალასანიას ნაცვლად ვიცე-პრემიერი.

**„რეზონანსი“**

### 68-ე სკოლაში უსახლკაროები შეიჭრნენ

**შენობაში** შეჭრილები აცხადებენ, რომ აქ ისინი მერიამ გამოუშვა. მათ მერიაში უთხრეს, თითქოს შენობა მერიის ბალანსზე იყო და შესულიყვნენ საცხოვრებლად. თუმცა, მოგვიანებით მერიის წარმომადგენელი მოვიდა და განაცხადა, რომ შენობა მერიის ბალანსზე არ იყო. 68-ე საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები შენობის დაბრუნებას ელოდებიან, რომ სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვის საშუალება ჰქონდეთ.

**„ახალი თაობა“**

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com